# მაცნე სამტრედიის

გაზეთი გამოდის 1930 წლის 5 ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N17 (9268) 20 ივნისი. 2018 წელი ფასი 50 თეთრი


## როცა პრობლემა პრობლემად რჩება, თემა კი ისევ აქტუალურია

3

## ეს ბოლო ტაშიც ესმოდა ალბათ ...

6

## “GFA” ფინანსისტებისთვის

2

## “TRINITY” სამტრედიელთათვის საამაყო ჯგუფი

## ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო პროცესი 29 ივნისს შეწყდება

2

## გამოფენა ფესტივალი “კაპადოკია _ 2018”

## “უნებლიე აპანტიურისტები”

5

## სამტრედიის განახლებული შემოსასვლელი ხიდი

# “GFA” ფინანსისტებისთვის

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსთა ასოციაცია “GFA” აგრძელებს აქტიურ საქმიანობას, რათა განავრცოს ინფორმაცია ადგილობრივ მუნიციპალიტეტებსა და ფინანსისტებს შორის. განახორციელოს ფინანსისტთა ინტერესების ლობირება სახელმწიფო და საერთაშორისო დონეზე. დაამყაროს საერთაშორისო კავშირები გამოცდილების გაზიარების მიზნით, ხელი შეუწყოს ფინანსურ დამოუკიდებლობასა და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებას, უზრუნველყოს ტრენინგები როგორც ასოციაციის წევრი მუნიციპალიტეტებისათვის. ასევე, სხვა დაინტერესებული ფინანსისტებისათვის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსთა ასოციაციამ ჩაატარა სწავლება ტრენინგი, რომელიც გაიმართა 2017 წლის 1-3 დეკემბერს საირმეში.

სწავლება მოიცავდა 2018-2021 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის შედგენასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელიც განხორციელდება ძირითადად 2019 წლიდან.

სამტრედიის მუნიციპალიტეტიდან ტრეინინგში “მუნიციპალიტეტის მოხელეთა პროფესიული სწავლების” პროგრამის ფარგლებში მონაწილეობდნენ და სწავლებას დაესწრნენ მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის საჯარო მოხელეები. მონაწილეებმა მიიღეს ინფორმაცია 2018-2021 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების შესახებ. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 76, ნაწილი 3-ის და საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ მუხლი 54, ნაწილი 1"-ის თანახმად დამტკიცდა მერის ბრძანების შესაბამისად 2018-2021 წლების პრიორიტეტის დოკუმენტის პროცედურა, რომელშიც გაწერილია სხვადასხვა მხარის როლი და პასუხისმგებლობები ხსენებულ პროცედურაში. დამტკიცდა მუნიციპალიტეტის სამუშაოების საბიუჯეტო კალენდარი, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მოსაწოდებელი ინფორმაცია და მისი წარდგენის ვადები.

მნიშვნელოვანია, პრიორიტეტის დოკუმენტაციის მოსამზადებლად, სამართლებრივი აქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (მერი, მოადგილეები, საფინანსო სამსახური, დარგობრივი სამსახურები, დამოუკიდებელი ა(ა)იპ ხელმძღვანელები, საკრებულოს წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი, სამოქალაქო საბჭოს წარმომადგენელი).

სამუშაო ჯგუფმა შეადგინა და მოამზადა _ შეხვედრების განრიგი საბიუჯეტო კალენდართან შესაბამისობაში, მე-2 მუხლის შესაბამისად:

_ კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისათვის;

_ ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;

_ ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამის ინიცირების უზრუნველყოფა;

_ პრიორიტეტებსა და პროგრამებზე კომენტარები და განისაზღვროს მისი პრიორიტეტულობა;

_ რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით;

_ წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშები;

_ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაციას, დამტკიცებული საბიუჯეტო კალენდრის შესაბამისად.

პრიორიტეტების დოკუმენტის პროექტისათვის კი მნიშვნელოვანია წარმოდგენილი ფორმატი მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: შემსრულებელი ორგანიზაცია, ხანგრძლივობა, პროგრამა/ქვე-პროგრამა ახალია თუ მიმდინარე, პრიორიტეტი, რომლის შესრულებასაც ის ემსახურება, პროგრამის აღწერა და მიზანი, მოსალოდნელი მოკლე და გრძელვადიანი შედეგები, მისი განხორციელებისათვის საჭირო რესურსების პროგნოზი მომავალი წლის მანძილზე და დამატებით შემდეგი 3 წლისათვის და დაფინანსების წყარო.

პროგრამის და ქვეპროგრამის აღწერაში შემაჯამებელი უნდა იყოს მიზნები და ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც მომდევნო პერიოდის მანძილზე განხორციელდება, ხაზგასმით უნდა იყოს აღნიშნული ნებისმიერი ცვლილება წინა ვარიანტთან შედარებით, ახლად შემოთავაზებული პროგრამის/ ქვეპროგრამის აღწერა უნდა იძლეოდეს საკმარის ინფორმაციას მისი განხორციელების აღსათქმელად.

ტრეინინგზე განხილული იქნა ასევე პრაქტიკულად როგორ უნდა შეივსოს პროგრამის განაცხადის ფორმა ადგილობრივი კლასიფიკაციის კოდების შესაბამისად. პროგრამის მიზანი, აღწერა, ბიუჯეტი და საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები.

2018 წლის იანვრიდან კვლავ გრძელდება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული სწავლება-ტრენინგის ჩატარება ქ. ბათუმში მუნიციპალიტეტების სხვა სფეროების თანამშრომლებისათვის.

2018 წლის პირველ კვარტალში ჩატარდა ტრეინინგი პროგრამული ბიუჯეტი, ქონების მართვა, ადმინისტრაციული წარმოება, სოციალური დაცვა და საზოგადოებრივი ჯანდაცვა. მეორე კვარტალში ბუღალტერიის განხრით საფინანსო სამსახურისა და ა(ა)იპ-ების ბუღალტრებისათვის. ქონების მართვა, სკოლამდელი აღზრდა, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურის სფეროს მიმართულებით. თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების წესის განხილვა, დაესწრნენ მიწის აღიარებითი კომისიის თავმჯდომარე და კომისიის წევრი.

ასევე იგეგმება ინტენსიური სწავლებები მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში ისეთი მიმართულებით, როგორიცაა: საბიუჯეტო სფერო, ბუღალტერია, სოციალური დაცვა, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სკოლამდელი განათლება, კულტურა, ინფრასტრუქტურა, შიდა აუდიტი, შესყიდვები, აუდიტი, შესყიდვების ქონების მართვა, ადმინისტრაცია, იურიდიული საკითხები, ასევე იგეგმება სწავლება საკრებულოს კომისიების დაინტერესებული წევრებისათვის.

სწავლება-ტრეინინგზე დასწრება უფასოა. სწავლებაზე გაიცემა სერტიფიკატები და მოხდება კრედიტ-ქულების სისტემური აღრიცხვა.

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივ დონეზე მომავალი წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებისთვის უზრუნველყოფილი იქნას შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღება.

***დავით ბალდავაძე***
***მუნიციპალიტეტის მერიის***
***საფინანსო-საბიუჯეტო***
***სამსახურის უფროსი***

# მოსახლეობის მოთხოვნით

რეგიონალური განვითარების ფონდის პროგრამით განსახორციელებელი პროექტებიდან გაღმა ზონაში ბეტონის საფარიანი გზების დაგებასთან დაკავშირებით ტენდერი გამოცხადდა. ბეტონის საფარიანი გზის მოწყობასთან დაკავშირებით ტენდერია გამოცხადებული ღანირის თემშიც. ქუთაისი-ხონი სამტრედიის ავტომაგისტრალიდან ე. წ. ელიავას მინდვრის მიმართულებით.

ტენდერია გამოცხადებული ბეტონის საფარიანი გზის დაგების სამუშაოებთან დაკავშირებით სოფელ ოფეთში დაფნარის მიმართულებით, ასევე ოფეთში ნიგორზღვის მიმართულებით, დაბლა გომში, სოფელ გამოჩინებულში ზანდოს მიმართულებით, სოფელ ტოლებში საჯარო სკოლიდან სოფელ ნოღის მიმართულებით, სოფელ გორმაღალში.

ზურაბ გოგია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი: “ბეტონის გზის დაგების მოთხოვნა უშუალოდ ადგილობრივი მოსახლეობიდან მოდის. ზემოჩამოთვლილ თემებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებმა მოსახლეობის მოთხოვნა ჩვენამდე მოიტანეს, ადგილობრივმა ხელისუფლებამ კი მათი იტერესების გათვალისწინებით მიიღო გადაწყვეტილება”.

***ნინო ნანიტაშვილი***

# ბაგა-ბაღებში სააღმზრდელო პროცესი 29 ივნისს შეწყდება

სკოლამდელ დაწესებულებათა აღზრდის გაერთიანების დირექტორის, ხათუნა გაგუას, ინფორმაციით სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღებში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი თვის ბოლოს, კერძოდ, 29 ივნისს შეწყდება.

ქალაქის ტერიტორიაზე იმუშავებს მორიგე ბაგა-ბაღები იმ მშობლებისათვის, რომლებიც სამსახურებში არიან დაკავებულები და სახლებში ბავშვების დამტოვებლები არ ჰყავთ.

ქალაქის ტერიტორიაზე 5 მორიგე ბაგა-ბაღი რჩება. ესენია: პირველი, მეორე, მეოთხე, მეცხრე, მეათე. ხათუნა გაგუას ინფორმაციით, ზემოჩამოთვლილ სააღმზრდელო დაწესებულებებში მუნიციპალიტეტის ნებისმიერი საბავშვო ბაღიდან არის შესაძლებელი ბავშვთა მიღება: “შემიძლია, ხმამაღლა ვთქვა, რომ წლევანდელი წელი იმითაც იყო განსხვავებული, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში გარემონტდა 2 საბავშვო ბაღი: სოფელ ღანირში და ქალაქის № 1 ბაგა-ბაღი. ასევე გაუმჯობესდა კვების რაციონი და მიუახლოვდა იმ სტანდარტს, რომელიც გათვალისწინებულია განათლების სამინისტროს მიერ. პირველ საბავშვო ბაღსა და ასევე ღანირელ პატარებს შევუძინეთ ინვენტარი, ტექნიკა. პროექტის გამრავალფეროვნებამ გამოიწვია დამატებითი მაცივრების შეძენა, რაც განხორციელდა კიდეც რამდენიმე საბავშვო ბაღში. შემოგვიერთდა და გაერთიანებას გადაეცა ყოფილი რკინიგზის 75-ე ბაგა-ბაღი, ამჟამად მე-3 ბაგა-ბაღად წოდებული. მათაც შევუძინეთ როგორც ტექნიკა, ასევე ჭურჭელი, ბავშვებისათვის სათამაშოები. დაწყებულია და გაგრძელდება გამოშვებები, სადაც პატარებს სკოლისაკენ მიმავალ გზას ულოცავენ მშობლიური ბაგა-ბაღების პედაგოგები. ვესწრებით ღონისძიებებს და ვაფასებთ, რომ ის უნარ-ჩვევები, რომლებსაც პატარები ავლენენ, აბსოლუტურად ამომწურავად სცემს პასუხს იმ მოთხოვნებს, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს სასკოლო ასაკის ბავშვი. გვწამს, რომ მომავალი სასწავლო-სააღმზრდელო წელი უკეთესი იქნება, რაშიც ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერას ვგრძნობთ. არ შეიძლება, აქვე არ გამოვხატო მადლიერება ბატონი ვალერის მიმართ. მუნიციპალიტეტის მერმა დიდხნიანი პაუზის შემდეგ ბაგა-ბაღების თანამშრომლებს ხელფასები გაუზარდა”.

***ნინო ნანიტაშვილი***

# სოფლად მცხოვრები მოსახლეობისთვის

გომი, ბაში, ეწერი და ღანირი _ ამ სოფლების მოსახლეობა უახლოეს დღეებში საყოფაცხოვრებო ნარჩენს თავის ადგილს ცივილურად მიუჩენს. გომს, ბაშს, ეწერსა და ღანირს დღემდე საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადატანასთან დაკავშირებით კომუნალური სამსახურიდან მომსახურება არ ჰქონია. მოსახლეობა იძულებული იყო, საკარმიდამო ნაკვეთებში ორმოები ამოეჭრათ და საყოფაცხოვრებო ნარჩენები იქ მოეთავსებინათ.

უარეს შემთხვევაში ნაგავს ახლომდებარე მდინარეებსა და ღელეებში ყრიდნენ, რაც იწვევდა გარემოს დაბინძურებას.

მუნიციპალიტეტის მერიამ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინტერესები გაითვალისწინა, შეიძინა 150 ცალი, ერთი კუბი ტევადობის სანაგვე ბუნკერი.

კომუნალური გაერთიანების უფროსის, კობა ბიბილეიშვილის ინფორმაციით დამატებითი სანაგვე ყუთები განთავსდება და მომსახურების ზონა გაიზრდება დიდ ჯიხაიში.

***ნინო ნანიტაშვილი***

# როცა პრობლემა პრობლემად რჩება, თემა კი ისევ აქტუალურია

ლევან გაბეჩავა

***ამ წერილის ავტორს პოლიტიკასთან საერთო არაფერი აქვს, თუნდაც იმიტომ, რომ არასოდეს ჩართულა აქტიურად პოლიტიკაში.***

***ამ საკითხების შესახებ წერილს უკვე მერამდენედ, დიახ, მერამდენედ ვწერთ, თუმცა, არაფერი იცვლება.***

***გასული საუკუნის ბოლოდან იწყება ქვეყანაში ეკონომიკის ჩამოშლის ტენდენცია. ფაბრიკა-ქარხნების დადუმების პარალელურად გაჩანაგდა აგრარული სექტორი, დღევანდელმა თაობებმა მხოლოდ გადმოცემით თუ იციან, როგორი მოწინავე იყო სამტრედია ჩაის ხარისხოვანი ფოთლის დამზადებასა და "თეთრი ოქროს", ე. ი. აბრეშუმის პარკის წარმოების კუთხით.***

მერე დიდი ზარ-ზეიმით ფირმა "მარტინ ბაუერიც" შემოვიდა საქართველოში და ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციაც დავიწყეთ.

ერთობ იმედიანი ლოზუნგებიც გაჩნდა, საოცარი დამაჯერებლობით რომ გვარწმუნებდა, ეჭვშეუვალად "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოსო", მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც მრეწველობით გადარჩენილ ქვეყანას ვხედავთ და ერთ დროს მობიბინე ჩაის პლანტაციებში ამჟამად გაუვალი ტყეა. ჩვენ კი, ჩვენ ქართველები ძირითადად უცხოეთიდან შემოტანილი ჩაის მომხმარებლები ვართ(?!) ეს მაშინ, როცა უახლოეს წარსულში საქართველოში წარმოებული ჩაი კონკურენციას ინდოეთის ჩაისაც კი უწევდა.

კომენტარი თქვენთვის მოგვინდვია, მკითხველო!

...

ახლა თეთრი ოქრო და მისით მიღებული კეთილდღეობა. დიახ, სულ რაღაც ერთი თვის არარუტინული შრომა იყო საჭირო აბრეშუმის მაღალხარისხოვანი პარკის დასამზადებლად ოჯახურ პირობებში. სახელმწიფოზე მისი ჩაბარების შემდეგ ოჯახები ეკონომიკურ შვებას განიცდიდნენ, დამატებითი შემოსავალი იყო თითქმის ყოველი ოჯახისათვის პარკის ჩაბარების შემდეგ მიღებული სოლიდური თანხა.

სამუშაოებში კი ოჯახების ყველა სრულწლოვანი წევრი იყო ჩართული. საკმაოდ ხალისიანად ამ პროცესში სკოლები, ტექნიკუმები და უმაღლესი სასწავლებლებიც კი მონაწილეობდნენ.

შედეგი?

სახელმწიფოს მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი, ხალხს ფული.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ აბრეშუმის ჭიის ერთადერთ საკვებს თუთის ფოთოლი შეადგენდა, ამდენად, სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა თუთის პლანტაციების გაშენებას, მერე თუთებიც ამოვძირკვეთ და აბრეშუმიც და მეაბრეშუმეობაც ნელ-ნელა მიეცა მივიწყებას.

კომენტარი ამჯერადაც თქვენთვის მოგვინდვია, მკითხველო!

...

ლამის ნახევარი საუკუნის წინ ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ, კურორტოლოგიის დარგის თვალსაჩინო სპეციალისტმა ალ. გრიგოლიამ პირველი ბარი დაჰკრა და სამტრედიაში ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობას დაუდო სათავე. კურორტი გოგირდოვანი წყლის ბაზაზე ფუნქციონირებდა, რომელიც ბუნებამ გვიბოძა და არა რომელიმე პოლიტიკოსმა, პოლიტიკურმა პარტიამ ან რომელიმე პატივცემულმა ინვესტორმა.

მერე აქ საქართველოს დამსახურებულმა ექიმმა, ჩვენმა სახელოვანმა თანამემამულემ, უნიჭიერესმა ორგანიზატორმა და ფუტკარივით მოუსვენარმა ქალბატონმა ზინაიდა (ჩუტუ) ნაცვლიშვილმა, თანამოაზრეებთან და რაიონის იმჟამინდელ მესვეურებთან ერთად, არა მარტო საქართველოში, საბჭოეთში ცნობილი საკურორტო ბაზა შექმნა, გამაჯანსაღებელი, დასასვენებელი ცენტრებით. აქ გოგირდოვანი წყლის, სითბური ეფექტის წყალობით სათბურებში მოყვანილი ბოსტნეულითაც უმასპინძლდებოდა ის დამსვენებლებს, უკიდეგანო საბჭოეთის ყველა კუთხიდან რომ ჩამოდიოდნენ.

ისევ და ისევ გასული საუკუნის მიწურულს, ქვეყანაში განვითარებული მოვლენებისას, კურორტი კიდეც გაძარცვეს და კიდეც გაანადგურეს.

აქური ოაზისის აღდგენის იდეა, ბოლო 20 წელია, არჩევნებისწინა პერიოდში რამდენადმე ხდება აქტიური, მერე კი...

გვესმის ერთ, ორ და და სამ წელიწადში კურორტი რომ ვერ დაიბრუნებს ძველ სახესა და სახელს. ისიც კარგად ვიცით, ვიდრე თუთის პლანტაციები არ გაშენდება, აბრეშუმის ჭიის გამოკვებაზე საუბარი წყლის ნაყვის ტოლფასი რომაა და დროის მცირე მონაკვეთში ვერც ქართული ჩაი რომ ვერ აღიდგენს ძველ დიდებას, მაგრამ როდის უნდა დაიწყოს ამ ყველაფერზე ზრუნვა ქვეყანაში?

არ შეიძლება, ჩვენი აზრით, უწყებები მხოლოდ მავნებლებთან ბრძოლით, თუნდაც, ეფექტური ღონისძიებებით დაკავდნენ მხოლოდ და მხოლოდ და არ იზრუნონ ქვეყნისათვის ტრადიციული დარგების აღორძინებისათვის.

ჩვენი დიდი პატივისცემის მიუხედავად გვაფიქრებს, გვაეჭვებს კიდეც რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ ორგანიზებული ტრენინგ-სემინარები ერთი მთავარი კითხვით _ რა დარგების აღორძინება შეიძლება თქვენს რეგიონში? ნუთუ ხელისგულისოდენა საქართველოში ცნობილი არაა, რომ სამტრედიასა და ხონში სამთო-სათხილამურო სპორტი რომ ვერ განვითარდება ისე, როგორც გუდაურსა და მესტიაში და რომ ამ რაიონებში სწორედ მეჩაიეობა, მეაბრეშუმეობაა პრიორიტეტი? ქაღალდს, დროს, ენერგიას, ამაოდ ხომ არ ვფლანგავთ?

მიუხედავად იმედგაცრუებისა, ათასგვარი მავნებლის შემოტევებისა, ბუნება მაინც მუშაობს და შემოდგომაზე ნამეტი პროდუქტის რეალიზების გარეშე დარჩენილი მოსახლეობაც კანონიერად იშვერს ხელს ხელისუფლებისაკენ, პროდუქცია კი ან ფუჭდება, ან მას სიმბოლურ ფასად ყიდის მწარმოებელი. ეს კი დღეს თუ არა, ხვალ, ზეგ, სამერმისოდ, ინტერესს უკარგავს ფერმერებსა და მეურნე ადამიანებს.

რა გახდა, ნუთუ ასე ძნელია, 20-25 წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების ჩამბარებელი ერთი პუნქტი (მცირე საწარმო) მაინც რომ გაიხსნას მუნიციპალიტეტში?

პოლიტიკოსები (ზოგადად) არჩევნების წინ, მონადირეები ნადირობის, მეთევზეები თევზაობის შემდეგ რომ ცრუობენ არახალია, ძველი ამბავია და კარგად დაცდილ-გამოცდილი, მაგრამ იმ საკითხთა ირგვლივ რომ უნდა ვიფიქროთ და ძალისხმევა რომ არ უნდა დავიშუროთ, ცხადია, რომელთა შესახებაც ვინ იცის, მერამდენედ (ჯერჯერობით) ამაოდ ვწერთ და ვფიქრობთ.

# გიხაროდეთ!

საქართველოს მთავრობის, საქართველოს საპატრიარქოსა და საზოგადოება "ივერიისა" ერთობლივი გადაწყვეტილებით, სრულიად საქართველოში მოგზაურობს აწყურისა და ივერიის ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის ხატები. იგი ეძღვნება 2017-2018 წლებში საქართველოში საეკლესიო ავტოკეფალიისა და სახელმწიფებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის 100 წლისთავის საიუბილეო თარიღებსა და უკანასკნელი 40 წლის მანძილზე სულიერი ცხოვრების აღორძინებას.

"მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მიზეზების გამო, მისმა უწმინდესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა ილია მეორემ შეაჩერა შარშანდელი საიუბილეო ღონისძიებების აღნიშვნა, გამონაკლისის სახით მიზანშეწონილად ჩათვალა საიუბილეო ღონისძიებებიდან დაეტოვებინა ღვთისმშობლის ხატების მოგზაურობა.

სიწმინდეების მოგზაურობა დაიწყო 2017 წლის 17 მაისს სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძრიდან და დასრულდება 2018 წლის 14 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე." _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" დეკანოზმა ანტონმა (ვაშაკიძე).

რაც შეეხება სამტრედიის მუნიციპალიტეტს, სიწმინდეები წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძარში დაბრძანებული იქნება მიმდინარე წლის 30 ივნისიდან 7 ივლისის ჩათვლით.

მუნიციპალიტეტებში სიწმინდეების საზეიმოდ დახვედრის ორგანიზებისათვის შემუშავებულია შესაბამისი პროგრამა.

"გასულ წელს ხატების მოგზაურობისას სახელმწიფოს ჩართულობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ საორგანიზაციო საკითხებში მონაწილეობით, ხოლო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას წარმართავდა სამღვდელოება. საეკლესიო და სახელმწიფო ზეიმის ერთობლივი აღნიშვნიდან გამომდინარე მიზანშეწონილი იქნება კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში სახელმწიფო სტრუქტურების ჩართვა". ვკითხულობთ შესაბამისი პროგრამის ერთ-ერთ პუნქტში.

ვიმედოვნებთ, სამტრედიის მუნიციპალიტეტში ღირსეულად აღინიშნება ეს უდავოდ მნიშვნელოვანი მოვლენა _ ღვთისმშობლის ხატების მოგზაურობა.

*ლევან გაბეჩავა*

## № 54 სამტრედიის საოლქო საარჩევნო კომისია აცხადებს კონკურსს

როგორც თქვენთვის ცნობილია, ცესკო იწყებს პროექტს _ "საარჩევნო განვითარების სკოლა". მიმდინარე წლის 16 ივლისიდან 27 ივლისის ჩათვლით, შაბათ-კვირის გარდა (სასწავლო კურსი ათდღიანია).

ყურადღება:

განცხადებებს იღებს ყველა საოლქო საარჩევნო კომისია, მიუხედავად იმისა, იმართება თუ არა სწავლება მისი ოლქის ტერიტორიაზე.

საარჩევნო განვითარების სკოლები 25 საარჩევნო ოლქში _ თბილისში 2, გურჯაანში, სიღნაღში, თელავში, ახმეტაში, რუსთავში, გარდაბანში, მარნეულში, დუშეთში, ახალგორში (წეროვანის დევნილთა დასახლება), გორში, ბორჯომში, ახალციხეში, ამბროლაურში, საჩხერეში, ზესტაფონში, სამტრედიაში, ქუთაისში, ოზურგეთი, სენაკში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმსა და ქობულეთში გაიხსნება. ტრენინგებს გაუძღვებიან საოლქო საარჩევნო კომისიების წევრები.

18-დან 24 წლის ასაკის ახალგაზრდებს შეუძლიათ გაიარონ სასწავლო კურსი და მიიღონ საჭირო ცოდნა საარჩევნო თემებზე. საბუთების მიღება იწარმოებს 4-დან 11 ივლისამდე 10-დან 18 საათამდე. კონკურსანტს შეუძლია მიმართოს ნებისმიერ საოლქო საარჩევნო კომისიას.

კონკურსანტი უნდა ფლობდეს ქართულ ენას და კურსის გავლისათვის უნდა წარადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის ასლის გადაღებაც უნდა უზრუნველყონ საოლქო საარჩევნო კომისიებმა;

შევსება აპლიკაციის ფორმისა. აპლიკაციის ფორმა აგრეთვე განთავსდება ცესკოს ვებ-გვერდზე: www.cesko.ge

ასევე აპლიკაციის შევსება შესაძლებელია ადგილზე, ნებისმიერ საოლქო საარჩევნო კომისიაში.

კონკურსანტის განაცხადთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება ეცნობება რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს 15 ივლისისა.

**საოლქო საარჩევნო კომისიების მისამართები, სადაც ჩატარდება ტრენინგები:**

1. №12 გურჯაანი _ გურჯაანი, რუსთაველის ქ. №18
2. №13 სიღნაღი _ სიღნაღი, დ. აღმაშენებლის ქ. №13
3. №17 თელავი _ თელავი, დავითაშვილის ქ. №2
4. №18 ახმეტა _ ახმეტა, ბ. ჩოლოყაშვილის ქ. №50
5. №20 რუსთავი _ ქ. რუსთავი, ფიროსმანის ქ. №19
6. №21 გარდაბანი _ გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ. №36
7. №22 მარნეული _ მარნეული, რუსთაველის ქ. № 69
8. №28 დუშეთი _ დუშეთი, მ. კოსტავას №23
9. №31 ახალგორი _ წეროვანი, დევნილთა დასახლება, №3 საჯარო სკოლა
10. №32 გორი _ გორი, სამების ქ. №1
11 №36 ბორჯომი _ ბორჯომი, წმინდა ნინოს ქ. №11
12. №37 ახალციხე _ ახალციხე, რუსთაველის ქ. №45
13. №44 ამბროლაური _ ამბროლაური, აღმაშენებლის ქ. №18
14. №50 საჩხერე _ საჩხერე, მაჭავარიანის ქ. №41
15. №51 ზესტოფანი _ ზესტაფონი, წერეთლის ქ. №5
16. №54 სამტრედია _ სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6, II სართული, საკრებულოს სხდომათა დარბაზი
17. №59 ქუთაისი _ ქუთაისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №31
18 №60 ოზურგეთი _ ოზურგეთი, დოლიძის ქ. №1
19. №64 სენაკი _ სენაკი, რუსთაველის ქ. №223
20. №67 ზუგდიდი _ ზუგდიდი, კოსტავას ქ. №58
21. №70 ფოთი _ ქ. ფოთი, 26 მაისის №7
22. №79 ბათუმი _ ბათუმის, დემეტრე თავდადებულის ქ. №27
23. № 81 ქობულეთი _ ქობულეთი, მემედ აბაშიძის ქ. №10
24. თბილისი _ ცესკო, აღმაშენებლის ხეივანი მე-13კმ.
25. თბილისი _ ცესკო, აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.

*№54 საოლქო საარჩევნო ოლქი*

# “TRINITY” სამტრედიელთათვის საამაყო ჯგუფი

ნათია ნაცვლიშვილი

ჩვენი მუნიციპალიტეტის ნიჭიერი გოგონებისაგან ამ სახელწოდების ჯგუფი სპონტანურად კონკურს “ X ფაქტორისათვის” შეიქმნა, იდეა ანა აბზიანიძეს ეკუთვნის. ეს ჯგუფი, მართალია, ვერ გახდა ამ პრესტიჟული მუსიკალური პროექტის გამარჯვებული, მაგრამ საკმაოდ დიდი წარმატების მოპოვება და ჟიურის მოწონება დაიმსახურა. რედაქციაში გვეწვია ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, მარი ტორონჯაძე და კონკურსის შესახებ გვესაუბრა : “პროექტის მცირე ქრონომეტრაჟის გამო ჩვენი ქასტინგი, ანუ შერჩევის პროცესი ეკრანზე ვერ მოხვდა და მაყურებელმა მხოლოდ ოთხი სკამის ტურზე შეძლო ჩვენი ეკრანზე ხილვა, სულ მოგვიწია სამი სიმღერის შესრულება. ქასტინგზე ვიმღერეთ “Mary Mary - Shackles”, ოთხი სკამის ტურზე შევასრულეთ “Little Mix - How Ya Doin?’ ‘ ორი სკამის ტურზე “Aretha Franklin - Think”.

მოგეხსენებათ, ჩვენი ჯგუფი შეიქმნა სპეციალურად ამ პროექტისთვის, ქორეოგრაფიასა და სიმღერის არანჟირებაზე ანა აბზიანიძემ და საბა ჩაჩუამ იზრუნეს. საბა ძალიან გვგულშემატკივრობდა, ამ კონკურსმა გვასწავლა მაყურებელთან ურთიერთობა, მივიღეთ გამოცდილება, მოგვიწია სხვადასხვა მუსიკოსებთან კონტაქტი, მიხარია, რომ დავით ევგენიძემ დადებითი და კარგი შეფასება მოგვცა. ჟიურის წევრებიდან ყველაზე მეტად მოვეწონეთ სტეფანე მღებრიშვილს, ყველაზე უფრო გვეშინოდა ნანკო ხაზარაძის, რადგან მუსიკოსი არ არის. უფრო უკეთ შეგვეძლო გამოსვლა, სხვა კონკურსანტებთან შედარებით კარგად ვიმღერეთ, ამის გამო მოვხვდით 4 სკამზე. ორი სკამის ტურზე ჩვენთვის ხელისშემშლელი აღმოჩნდა ბენდის “ Funky houze” წინა პლანზე წამოწევა. მუხედავად იმისა, გამოცდება, მეთორმეტე კლასში გახლავართ, თათა მეთერთმეტე კლასშია, ლეილუკა _ მეათეში და ძალიან დაძაბულები ვართ, კონკურსისათვის კარგად მოვემზადეთ. კონკურსის შემდეგ სამტრედიაში ძალიან თბილად მიგვიღეს, ჩვენი სკოლები ამაყობენ ჩვენით, მეგობრებიც, ამ სიმღერების შესრულება სხვადასხვა კონცერტზე გვიწევს. ანა აბზიანიძის კონცერტზე შევასრულეთ ახლახან და მოგვიწია რამდენიმე სკოლაში სიმღერაც. უნდა აღინიშნოს, ჩვენს ჩაცმულობაზე იზრუნა დიზაინერმა მანია ვაშაკიძემ, უსასყიდლოდ შეგვიკერა სამოსი. ვფიქრობ, განსაკუთრებულად კარგად გამოვედით 2 სკამის ტურზე, ჟიური აღვაფრთოვანეთ, შესამაბისად დავიმსახურეთ კარგი შეფასება.”

ჯგუფის შესახებ თავის მოსაზრებას “სამტრედიის მაცნე” დირექტორი, მელომანი ბეჟან გოგია გვიზიარებს:

“ამ ბავშვებს, სამივეს ძალიან კარგად ვიცნობ, ერთი მათგანი მარი ტორონჯაძე 2014 და 2017 წლებში ორჯერ გახდა ევროპის საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალის გამარჯვებული, ლეილუკა რუხაძემ და თათა ხუჭუამ ასევე გაიმარჯვეს ჩეხეთის მუსიკალურ ფესტივალზე 2017 წელს. მარიამ ტორონჯაძე ასევე არის მუსიკალური ფესტივალის “იმერეთის ხმა” მესამე პრიზიორი, საერთაშორისო ფესტივალ “ბაქო 2016-ის” გრან-პრის მფლობელი. ამათი ხელმძღვანელი არის შესანიშნავი პიროვნება, სამტრედიის მაესტრო, ქალბატონი ანა აბზიანიძე. ეს კარგი შერწყმული ტრიოა, ძალიან ლამაზად აბალანსებენ ხმებს, მარის უჩვეულო მაღალი ხმა და შესაშური დიაპაზონი, ლეილუკას ხავერდოვანი ხმა და თათას ულამაზესი ტემბრი ბრწყინვალედ ერწყმის ერთმანეთს. წარმატებებს ვუსურვებ გოგონებს, მე მათი ყოველთვის მჯეროდა. ეს უცნობილესი და ერთ-ერთი უძლიერესი კონკურსია, ამ გოგონების გამოსვლები გამარჯვების ტოლფასია, რომ არა წლევანდელი “X ფაქტორის” უძლიერესი მონაწილეები, ჩვენი გოგონები ალბათ, გამარჯვებულნიც შეიძლებოდა გვეხილა.”

# გამოფენა ფესტივალი “კაპადოკია _ 2018”

ნინო ნანიტაშვილი

***პირველ ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს დაემთხვა გამოფენა-ფესტივალი, რომელიც თურქეთის ქალაქ ურგუფში ჩატარდა. გამოფენა-ფესტივალი “კაპადოკია _ 2018” მე-4 წელია იმართება ჩვენს მეზობელ რესპუბლიკაში და მან, ფაქტობრივად, ტრადიციული სახე მიიღო.***

***წელს სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეადან 11 მოსწავლე იყო მიწვეული, თუმცა გამგზავრება 6-მა ნორჩმა მხატვარმა მოახერხა. ეთო მელქაძემ, რუსკა კიკაჩეიშვილმა, ვასო კიკაჩეიშვლმა და დათო ჩხკივაძემ თავიანთი ნამუშევრები “კაპადოკია _ 2018”-ის ფესტივალზე გამოფინეს. მოთხოვნაში იდო ის, რომ სამი ნამუშევრიდან 1 აუცილებლად უნდა ყოფილიყო თემატური, რომელშიც მონაწილეები კაპადოკიის პეიზაჟებს ასახავდნენ. დანარჩენი ორი ნახატის თემა თავისუფალი იყო.***

გარდა იმისა, რომ სამტრედიელმა ნორჩმა მხატვრებმა გამოფენაში მიიღეს მონაწილეობა, ისინი სახელდახელოდ გამართულ კონცერტში ჩაერთვნენ. სრულიად შემთხვევით, გზაში გართობის მიზნით სამხატვრო-სკოლა გალერიის აღსაზრდელებს წაღებული ჰქონდათ ხალხური საკრავები, რითაც სამტრედიელმა ახალგაზრდებმა გამართეს კონცერტი. სპონტანური კულტურული ღონისძიება გამოფენა-ფესტივალის მონაწილეებისთვის და დამთვალიერებლისთვის დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა. ფესტივალის ორგანიზატორებმა, კერძოდ, ქალაქ ურგუფის მერიამ ნამუშევართა ავტორები დაჯილდოვა სპეციალური დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

თურქეთში გამართულ გამოფენა-ფესტივალში საქართველოს რამდენიმე კუთხე, მათ შორის თბილისი მონაწილეობდა. სამტრედიელმა პატარა ხელოვანებმა იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურეს, მიიღეს შეთავაზება, მესტიაში დაგეგმილ ფესტივალში მიიღონ მონაწილეობა.

“სამტრედიის მაცნე” დაუკავშირდა სამხატვრო სკოლა-გალერეის დირექტორს, ნინო ნინუას და კომენტარი სთხოვა: “სამხატვრო სკოლის მოსწავლეების წარმატებები ჩვენთვის მოულოდნელი არ იყო. წლების მანძილზე ისინი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით იფინებოდნენ სხვადასხვა სახელოვნებო დაწესებულებებში. აქვთ ბევრ ფესტივალსა და კონკურსში მონაწილეობა მიღებული, სადაც მათი შემოქმედება დამთვალიერებლის მხრიდან ყოველთვის მაღალ ინტერესსა და დიდ მოწონებას იმსახურებდა. შარშან სამების საკათედრო ტაძარში გამართულ ფესტივალზე ჩვენი სკოლის 11 მოსწავლე შეირჩა, რომ თავიანთი ნამუშევრები წარედგინათ თურქეთის ულამაზეს ქალაქ ურგუფში. ჩემმა მოლოდინებმა გაამართლა. ბავშვები სერიოზული წარმატებებით დაბრუნდნენ. მადლობა მინდა გადავუხადო მშობლებს და პედაგოგებს. რომ არა მათი მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა, სკოლა-გალერეა ვერ მოახერხებდა მათ საზღვარგარეთ გამგზავრებას. თითოეულ ნორჩ მხატვარს ვუსურვებ, კიდევ ბევრი გამარჯვება ერთად გვეზეიმოს”.

# "უნებლიე ავანტიურისტები"

ქეთევან ჭელიძე

**დიახ, ჩვენს რეალობაში ბევრი მაცდუნებელი რამ არსებობს, რამაც შესაძლებელია, უნებლიე ავანტიურისტად აქციოს ადამიანი. თეატრს კი "ძალუძს ამოათრიოს ტყუილი და სიცრუე მახინჯი ლაბირინთებიდან და აჩვენოს მისი სიმახინჯე მზის სინათლეს". ასეთი იყო რეჟისორ ლორიტა ჯორჯიკიას გადაწყვეტილებაც, როცა მან ალექსანდრე კოროვკინის ორმოქმედებიანი კომედია წარუდგინა მაყურებელს. "აქტუალური პიესაა. ეს გაფრთხილებაა, რაიმესკენ, რაც არ გეკუთვნის, ხელი არ გაიწვდინო". _ გვეუბნება ქალბატონი ლორიტა.**

სპექტაკლის მთელი ფაბულაც ამაზეა აგებული. როცა ორი მოხუცი დის, გრეტასა და როზას, სახლისა და მიწის დასაკუთრებას მოინდომებს მაღალჩინოსანი, როგორ გახდება ქალაქის მერიასთან არსებული სოციალური პროგრამების დეპარტამენტის წარმომადგენელი როზას გამომცხვარი და გრეტას თაგვის წამლით გაჯერებული კომბოსტოიანი ღვეზელის "მსხვერპლი". მზომავის მოლოდინში ვითარდება მთელი მოქმედება. უწყინარი დიალოგიდან დები "მკვლელებად" იქცევიან და ცდილობენ დანაშაულის დაფარვას. პირველივე სცენებიდან იკვეთება ამ ორი ქალბატონის ხასიათი _ დასთან შედარებით გულუბრყვილო როზასი და პრეტენზიული, ჭირვეული გრეტასი. კომედიური ჟანრისთვის დამახასიათებელი იუმორით მათ მიერ აქაიქ წარმოთქმული მწვავე რეპლიკებით

ნათელი სურათი გვექმნება, თუ რა სოციალურ გარემოში უწევთ ამ ადამიანებს ცხოვრება. როგორია საზოგადოების დამოკიდებულება მათ მიმართ და პირიქით.

მზომავი, რომელმაც გისოსები უნდა გაუკეთეს მათი სახლის ფანჯრებს, რათა ისევ არ გაქურდონ, ავტორს საერთოდ არ შემოჰყავს პიესაში. გისოსებმა ხელი არ უნდა შეუშალოს, გარეთ გავიდეს და საცნაური გახდეს ის ამბები, რაც სახლში ხდება. ამასობაში კი ვგებულობთ როზასა და გრეტას ძმისშვილების, ხელმოცარული პროდიუსერის, რობერტისა და ციხის საკანში გამოკეტილი მისი ძმის, ეროსის, შესახებ, "მზრუნველ" მეზობელ სოფიაზე, ოდნავ დაბნეულ და ამბიციურ პოლიციის ინსპექტორზე, რობერტის განებივრებულ საცოლე ინგაზე. ეს ადამიანები ერთ, რომელიმე კონკრეტულ დროში არ ცხოვრობენ. მათ წინა პლანზე გამოაქვთ ზოგად ადამიანური სისუსტეები, რომელიც პიესის ავტორმა და რეჟისორმა ღიმილნარევი დიდაქტიკით ფართო მსჯელობის საგნად აქციეს.

პიესის, "უნებლიე ავანტიურისტების" თარგმანიც ლორიტა ჯორჯიკიას ეკუთვნის. სპექტაკლის მიზანი, გარდა იმისა, საზოგადოების მანკიერი მხარეები ეჩვენებინა, ისიც იყო, სცენაზე კიდევ ერთხელ ენახა მაყურებელს ორი ხანდაზმული მსახიობი, ქალბატონები მზია ჩიხლაძე და ჟუჟუნა ნიკურაძე. მინდოდა გაებრწყინათო, ქალბატონმა ლორიტამ. თუმცა, გარკვეული მიზეზების გამო, ჟუჟუნა ნიკურაძის სპექტაკლში დაკავება ვერ მოხერხდა. 83 წლის მზია ჩიხლაძემ კი არაჩვეულებრივად გაართვა როლს თავი. იმდენად რეალური იყო მისი როზა, თავისი მაყურებლის აღფრთოვანება დაიმსახურა. გედის სიმღერას ჰგავდაო, იტყვიან რამდენიმე დღის შემდეგ ამ როლის შესახებ, რადგან ქალბატონი მზიასთვის ის უკანასკნელი აღმოჩნდა. მართლაც გაიბრწყინა თავისი ბუნებრიობით, დიქციით, ჟესტიკულაციით, ოსტატობით, გულწრფელობით და... წავიდა.

სახასიათო სახეები შექმნეს მარინა რცხილაძემ გრეტას, კლიმენტი ხვიჩიამ ამუნოვის, იგივე სოციალური პროგრამების დეპარტამენტის თანამშრომლის, თამაზ გოგიშვილმა უბნის ინსპექტორის, ჟორა პაქსაშვილმა ეროსის, ნიკა ფხიკიძემ რობერტის, ნინო ბაღდავაძემ ინგას როლებით.

ორიგინალური დეკორაციები შექმნა მხატვარმა ნანა რუხაძემ, საინტერესო მუსიკალური გაფორმება ემიმა ჯორჯიკიას ეკუთვნის, ქორეოგრაფი გიორგი კეშელავა, მუსიკალური ოპერატორი კი მერაბ ლორიაა. განათებაზე პაატა რურუა მუშაობდა, ოპერატორი გელა ნამიჭეიშვილია, სცენის მემანქანე კი კაკო დუნდუა.

მათ ბევრი იშრომეს იმისთვის, მაყურებლამდე სწორად მიეტანათ სათქმელი. შედეგიც სახეზეა. სპექტაკლი რამდენიმე დღის წინ იმერეთის თეატრალურ ფესტივალზე წარადგინეს და "მაყურებლის სიმპათიის" ჯილდო დაიმსახურეს. ქალბატონ ლორიტა ჯორჯიკიას კი ნომინაცია ევროპული დრამატურგიის საუკეთესო თარგმანისთვის მიენიჭა. ჟიურის თავმჯდომარემ დოდოშა ხურცილავამ კი აღნიშნა, რომ მას ქართულად ნათარგმნი ბევრი სხვა პიესა უნახავს, მაგრამ არსად ასეთი სრულყოფილად ნათარგმნი. სამტრედიელი თეატრალები შეაქო ფესტივალის თავმჯდომარემ ლევან როხვაძემ და საჩუქრად ღვთისმშობლის ხატიც გადასცა.

სპექტაკლის პრემიერას სამტრედიაში ცნობილი მსახიობი დათო კვირცხალიაც დაესწრო და "სამტრედიის მაცნეს" თავისი განწყობა გაუზიარა: "ამ სპექტაკლში ბევრი, მაგრამ ერთი ფრაზა მაინც განსაკუთრებით მომეწონა, რომელიც ჩემს მდგომარეობას გამოხატავს: ჩემს ასაკში ტვინის შერყევა არ იკურნებაო. ზუსტად ეს დამემართა, აღვფრთოვანდი. მეც ამ სცენაზე დავიწყე მოღვაწეობა და იგივე შეგრძნება დამეუფლა. შემშურდა კიდეც, მე რომ არ ვიდექი აქ. ჩემი პირველი პარტნიორი გახლავთ მზია ჩიხლაძე, მახსოვს მისი და მისი მეუღლის დებიუტი ამ სცენზე. მთავარია, რომ თეატრი არსებობს. სპექტაკლები იმდენია, მათი შედარება არ შეიძლება, ყველას თავისი მხარე აქვს. ბევრ რაიონში არ ახსოვთ, სპექტაკლი რა არის. მე საუბარი მქონდა ბატონ ვალერისთან, რომ ხშირად ვუჩვენოთ სპექტაკლები სამტრედიელებს, როცა დაინტერესდებიან, მერე მოვა და მოვა მაყურებელი. არ აქვს მნიშვნელობა, ათით მეტი იქნება იგი თუ ოცით. მთავარია, ჩვენ ვცოცხლობთ, ჰოპლა!"

მუნიციპალიტეტის მერმა ვალერიანე ფოცხვერიამ დადებითად შეაფასა სპექტაკლი და ლორიტა ჯორჯიკიას ნიჭიერებას ხაზი გაუსვა.

თბილი სიტყვები არც ქალბატონმა ლიზა კრავეიშვილმა, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა დაიშურა და განსაკუთრებით მზია ჩიხლაძის მიერ შესრულებული როლი გამოკვეთა.

"მართლაც კარგი სპექტაკლია, გარდა იმისა, რომ მსუბუქი ჟანრის ნაწარმოებია და საზოგადოების განტვირთვას ითვალისწინებს, მასში უდიდესი თემაც დევს. დაგვაფიქრებს, ჩვენც ხომ არ ვაკეთებთ იგივეს, რაც ამ პერსონაჟებმა სცენიდან გვითხრეს. დღეს უბინაობა ისევ პრობლემაა, ისეთი პრესტიჟული ადგილით, სადაც დები ცხოვრობენ, ახლაც ინტერესდებიან და ა. შ. მაყურებელმა კარგად მიიღო ქუთაისში სპექტაკლი, ზუსტად რეაგირებდა. ამიტომაც იყო, ქალბატონმა ლორიტამ განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა სცენიდან ქუთაისელ მაყურებელს. ნომინაციებში გამარჯვებაც გვერგო და ღვთისმშობლის ეს ძვირფასი ხატიც გადმოგვცეს". _ აღნიშნა ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დირექტორმა ვეფხია ნადირაძემ.

პრემიერის შემდეგ საშუალება გვქონდა, რეჟისორ ლორიტა ჯორჯიკიასთან არც მარტო ამ სპექტაკლის ირგვლივ გვესაუბრა.

**_ რამ განაპირობა, ამჯერად თქვენი არჩევანი ამ პიესაზე გაგეკეთებინათ?**

_ არჩევანი მასში ჩადებული იმ თემების გამოც გავაკეთე, რასაც ადგილი ყველა დროში და მეტ-ნაკლებად ყველა ქვეყანაში აქვს. თუ ვინმემ თავისი თავი დაინახა ამ ჩემს გმირებში, მისი პრობლემაა. პირადად მე, ეს გამიზნულად არ გამიკეთებია.

**_ შედეგით როგორი კმაყოფილი ხართ?**

_ კმაყოფილიც ვარ და უკმაყოფილოც. უკმაყოფილო იმიტომ, რომ სამტრედიის რაიონს დასი არ ჰყავს. დღეს ასეთი მოსაზრება დომინირებს, არ არსებობს სახელმწიფო და სახალხო, თეატრი არის თეატრი, მაგრამ, სამწუხაროდ, სახელმწიფო თეატრები ფინანსურად პრივილეგირებულნი არიან. თუ თეატრია და გიყვარს იგი, თავი უნდა შესწირო მას. მე მახსოვს ის წლები, როცა

ტრი გავაცოცხლოთ. თუ ასე გაგრძელდა, ხვალ და ზეგ მას დავმარხავთ.

**_ ნაწილობრივ პროფესიონალების დეფიციტით ხომ არ იხსნება, რომ თეატრი მაყურებლის ნაკლებობას განიცდის?**

_ ამ საქმეში არ არსებობს პროფესიონალი და არაპროფესიონალი. ამ საქმეს თავდადება უნდა. ერთიც არის, მსახიობსაც ჰყავს ოჯახი სარჩენი და თეატრში აღებული მიზერული ხელფასით რომ ვერ აკმაყოფილებს, ცდილობს, სხვა გზა გამონახოს. წავიდნენ თეატრიდან ზურა კალაძე და ერეკლე ცხვარაძე. თუმცა, მე მომხრე ვარ, კარგი პროდუქცია ვაჩვენოთ და მერე მოვითხოვოთ. თუ არ უჩვენე რა შეგიძლია, ისე არავინ არაფერს მოგცემს.

ცხადია, ეს ყველას არ ეხება, მაგრამ შეიძლება, პედაგოგები არ დადიოდნენ თეატრში?! სად არის ინტელიგენცია? თეატრი ოდითგან კულტურის კერა იყო. თეატრი ასწავლიდა ჩაცმას, მეტყველებას, ურთიერთპატივისცემას, ის იყო სულიერი ზრდის მაჩვენებელი. არ მინდა ბილეთი, მოსაწვევით გავაკეთებ სპექტაკლს. მოვიდნენ, დაგვესწრონ და სისტემატური ხასიათი რომ მიეცემა ამას, მაყურებელი დაუბრუნდება თეატრს.

არ შემიძლია, არ აღვნიშნო, რომ მე-12 საჯარო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლეები მოგვიყვანა პედაგოგმა თინიკო ბოცვაძემ რეპეტიციაზე. ბავშვები ინტერესით ათვალიერებდნენ ყველაფერს. ასე რომ მოგვიყვანს პედაგოგი ბავშვებს რეპეტიციაზე, სპექტაკლზე, ღია გაკვეთილზე მიგვიწვევს მათთან სასაუბროდ, მერე სხვანაირ დამოკიდებულებას გამოიჩენენ ისინი თეატრის მიმართ.

ანა ფრანკი დავდგი, აქტუალური თემაა. ის სასკოლო პროგრამაშიც შედის. უნდა იცოდეს დღევანდელმა თაობამ, რა მოჰყვება ომს, მტრობას, ნაციზმს, რასიზმს. სკოლებმა არც ბილეთები შეიძინეს და არც სპექტაკლზე მოვიდნენ. წიგნი გავასაღეთ, ცირკი იყო და მეტი საშუალება აღარ გვაქვსო.

თეატრი ფინანსურად ისეთი უზრუნველყოფილი არ არის, რაღაც საოცრება შევთავაზოთ მაყურებელს. რაც გვაქვს, იმის ფარგლებში ვაკეთებთ, მაგრამ თქვენი თანადგომა თუ არ იქნა, არაფერი გამოვა. როგორ ავიყვანოთ დასში ახალგაზრდა, თუ სპექტაკლები არ უნახავს. რომ ნახავს, სურვილიც გაუჩნდება. ავიყვან იმ ახალგაზრდას, გამოვზრდი და გვეყოლება თეატრში მომავალი თაობა.

**_ თქვენს სპექტაკლში დაკავებულ ახალგაზრდებზე რას გვეტყოდით?**

_ ნიკა ფხიკიძე, რობერტის როლის შემსრულებელი, ორჯერ გახდა იმერეთის თეატრალური ფესტივალის ნომინაციებში გამარჯვებული. ნინო ბაღდავაძე სკოლის მოსწავლეა, ორივე ჩვენთან გაიზარდა, მათ უანგაროდ უყვართ თეატრი. ასევე, ჟორიკო პაქსაშვილმა, რომელიც პროფესიით ქორეოგრაფია, უკვე რამდენიმე სპექტაკლში ითამაშა და საკმაოდ ნიჭიერად.

**_ წელს, გასაგები მიზეზების გამო, სპექტაკლი მსახიობთა სრული შემადგენლობით ვერ წარადგინეთ ფესტივალზე. როგორც ბატონმა ვეფხიამ აღნიშნა, გმირობა იყო თქვენგან, ასე მოკლე დროში მოგერგოთ როზას როლი.**

_ საოცარი იყო მზია ჩიხლაძე ამ როლში. დარწმუნებული ვიყავი, 83 წლის მსახიობი სათანადო ჯილდოსაც დაიმსახურებდა ფესტივალზე...

დამირეკა და მითხრა, ცუდად ვარ და შენ უნდა ითამაშო ჩემს მაგიერო. ეს ძალიან ძნელია, რეჟისორი არ არის ვალდებული, ყველა პერსონაჟის ტექსტი ზეპირად იცოდეს, მაგრამ არ შემეძლო, სპექტაკლი ჩაგვეგდო. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ გარკვეული რაოდენობის თანხა ჩაგვირიცხა ფესტივალში მონაწილეობისთვის, საპატიო მიზეზის მიუხედავად, თავს უფლება ვერ მივეცი, სამტრედია არ წარგვედგინა ფესტივალზე. შესანიშნავი მაყურებელი იყო, მთელი სპექტაკლის მანძილზე ტაშით გვაჯილდოვებდა, რაც სტიმულის მომცემი გახლავთ.

აქვე აღვნიშნავ, რომ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ყველა სპექტაკლზე გვესწრება. მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ვეფხია ნადირაძეს, რომელიც გვერდში გვედგა და მუშაობაში ხელს გვიწყობდა.

**_ რამდენი თეატრი მონაწილეობდა ფესტივალში?**

_ თორმეტი. იყვნენ ისეთებიც, მოწვეულ მსახიობებს ათამაშებდნენ. ჩვენ ამის საშუალება არ გვაქვს.

**_ როგორც ვიცი, ამ ფესტივალზე თქვენ, როგორც რეჟისორსა და მსახიობს, წინა წლებში უკვე გქონდათ წარმატება.**

_ სამტრედიის სახელით ფესტივალში უკვე ორი წელია ვმონაწილეობ. პირველად ვმონაწილეობდი. მანამდე ვანის თეატრის სახელით წარვადგინე სამი სპექტაკლი: "ვიკა სურდიტას", "მომკალ, მომკალ ჩემო კარგო" და "ლუიჯის გული". ორ მათგანში ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ნომინაცია ავიღე.

**_ ტრადიციულ კითხვას დაგისვამთ: რას შესთავაზებთ უახლოეს მომავალში მაყურებელს?**

_ მინდა აღვადგინო სპექტაკლი "თოვლის დედოფალი". გავაკეთო აგრეთვე, "მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" ჩემეული ინტერპრეტაცია. ვოცნებობ, დავდგა "მარადისობის კანონი". ვნახოთ, როგორ შევძლებ ამას.

# ეს ბოლო ტაშიც ესმოდა ალბათ ...

სცენიდან წავიდა... კარი ისე გაიხურა, თითქოს ისევ უნდა შემოეღო, შემობრუნებულიყო...

მზია გარდაიცვალა, უბრალოდ მზია, ყველასთვის, დიდისა და პატარასთვის. საკუთარი ქალაქისთვის კი, ქალბატონი მზია, როგორც ეძახდნენ _ სამტრედიის ვერიკო!

ჭირისუფლობდა სამტრედია და გული სტკიოდა, რომ ჯერ კიდევ გუშინ წასული როლეზის შემდეგ ისევ იდგა სცენაზე კუბო. თანაც... თანაც "საბრალდებო დასკვნაში" დედა-შვილს თამაშობდნენ. ჰოდა, დაკრძალვის წინ, სწორედ აქ, ამ სცენასთან ახლოს, მეც მალე მოვალო, გაატანა გამომშვიდობებისას სცენიურ შვილს. სიტყვას არასდროს ტეხდა მზია ჩიხლაძე და... 5 თვის მერე "მალე წავიდა."

წავიდა ისე უბრალოდ, ისე მოულოდნელად, რომ... პრემიერა მაინც შედგა! "უნებლიე ავანტიურისტებში" ჩვეულ ამპლუაში იდგა სცენაზე "როზა". თეატრალურ ფესტივალზე გასატანი სპექტაკლის თამაში აღარ დასცალდა. არადა, როგორ ელოდა მესხიშვილის თეატრის სცენაზე დადგომას! შენს ასაკში ნუ გარისკავ, შინაგანი განცდა თავისას იზამსო, გაუფრთხილებია ექიმს. მაგრამ მზია რისი მზია იყო... ბოლო როლი მისი ბოლო "ავანტიურა" გახდა! მისი ცხოვრების ბოლო აფიშა ბოლო მთავარი როლით, ბოლო პრემიერით სულ რამდენიმე დღის წინ ჩამოიღეს საკუთარ ოჯახად ქცეული თეატრის კედლიდან.

სწორედ ამიტომაც სცენაზე იდგა კუბო. თუ არა აქ, სხვაგან სად უნდა გამომშვიდობებოდა სამტრედია მზია ჩიხლაძეს. აქ დარჩა საკუთარი სულის, გულში მიყუჩული დიდ ტკივილის, თვალში ცრემლადჩამდგარი სიხარულის დიდი ნაწილი. დარბაზში ისევ იჯდა მაყურებელი. ბოლო როლს თამაშობდა მსახიობი და ეს როლი სიჩუმე იყო. საგალობელი, მეგობრებმა რომ უმღერეს, ერთი შტრიხი გახლდათ უჩვეულო დეკორაციით დადგმული სპექტაკლისა, სადაც მთავარი როლი ამ სცენის დიასახლისად ქცეულ მსახიობს ერგო!

ეს ბოლო როლიც ჩინებულად შეასრულა. ტაში არ წყდებოდა იქ გატარებული 55, ადამიანობის სცენაზე ჩამომარცვლული 84 წლისთვის. ტაში არ წყდებოდა საწუთროში ნათამაშები ქალის საუკეთესო როლისთვის. მზიას უყვარდა, დაუკარით ტაში! _ ცრემლიანი ხმა ჩაუწყდა რეჟისორ ლორიტა ჯორჯიკიას, რომელმაც ის სპექტაკლი დადგა, მესხიშვილის სცენაზე თამაშით რომ ვერ დაამშვენა მზია ჩიხლაძემ. მერე, მერე სწორედ ლორიტა ჯორჯიკია "ჩაენაცვლა" მის "როზას".

ეს ბოლო ტაშიც ესმოდა ალბათ, მაგრამ მაინც მიდიოდა არა სცენაზე კვლავ გამოსასვლელად, არამედ სცენიდან გასასვლელად, რადგან იქ, იმ სცენაზეც ბევრი ელოდა...

ნიჭიერი ქალბატონი არაერთი დასამახსოვრებელი სახით აჩნდა სამტრედიულ თეატრალურ აფიშას, მაგრამ შეუდარებელი იყოო "ირინეს ბედნიერებაში". ეს წლების წინ. ეამაყებოდა ამ პატარა ქალაქის სცენაზე ეროსისა და ვერიკოს პარტნიორობა. მეც წავალ და თეატრალების ის თაობაც დამთავრდება, სამტრედიის სავიზიტო ბარათი რომ იყვნენო, გასული საუკუნის 70-80-იან წლებში, უკანასკნელი მოჰიკანი ვარო, მათ შორის. _ ამბობდა დანანებით. სურვილი აუსრულდა, თანაავტორი გახლდათ წიგნისა, სამტრედიელ თეატრალებზე რომ უყვება მკითხველს.

უდიდეს ტკივილს ატარებდა გულით კაფანდარა ქალბატონი. შავი თავდაპირველად საკუთარმა ვაჟმა ჩაცვა, 22 წლისამ. და პირველად მაშინ მოკვდა მზია, მერე მეუღლე, სამტრედიის და არა მხოლოდ სამტრედიის თეატრალური საზოგადოებისთვის კარგად ნაცნობი ნორმან რურუა. და არავის უკვირდა, რომ გულიდან წამოსული მისი ღიმილის მიღმაც სევდა ჩანდა, გულის გულში შენახული სევდა. ზაზას დედას ისევ თეატრში რა მინდოდა, მაგრამ მისი ჰქნა სცენის მტვერმაო, მითხრა ერთხელ. თუმცა, მზია კი არ თამაშობდა, მზიას აცხოვრებდა სცენა!

რომ მოვკვდები, ჩემზე უნდა დაწეროო, დამბარა. და აჰა, მაგრამ მიჭირს წერა, მიჭირს წერა დედისტოლა ქალზე, შვილმკვდარ დედაზე. მზია ჩიხლაძე ბევრგან იყო სამტრედიაში, უფრო სწორად, ყველგან, სადაც მოითხოვდა, სადაც დასჭირდებოდა იგი მის ქალაქს. ბიბლიოთეკა კიდევ ერთი ოჯახი გახლდათ მისთვის, საიდანაც როგორც სცენიდან ისე გაიხურა კარი.

"წლის ბებია" გახდა! ეს წელს, საახალწლოდ. გაიხარა საკუთარი შვილიშვილებისთვის მისაბაძმა ბებომ, ახლა საქართველოს ბებიაც გავხდიო, გაეცინებოდა, ასაკი ხელს ვერ გატყობსო, რომ ეტყოდნენ, "ვოსემდესიატ ჩემტო" ვარო", იყო პასუხი.

ჰოდა, ამიტომ ახლაც მისი იყო ერთი პატარა ქალაქის სცენა, მზია ჩიხლაძის გარეშე რომ დარჩა!

წუთისოფლის ამაოებას წინ რომ ვერაფერი დაუდგება, დუმილით შესაგუებელი ჭეშმარიტებაა. კიდევ ერთ ღირსეულ სამტრედიელს ემშვიდობებოდა იმ დღეს მშობლიური ქალაქი. თუმცა, მისგან მოშორებით დასტიროდა სამტრედია მურმან კაშიას, კაცს, რომლის ღირსებაც კაცობა იყო, პედაგოგს, უპირველესად სულის მწვრთნელად, ადამიანობის მასწავლებლად რომ მიაჩნდა მის ყველა მოსწავლეს. ამიტომ, ორად გაყოფილი ქალაქი იქ, თბილისში და აქ, სამტრედიაში უკანასკნელ გზაზე აცილებდა ორ ადამიანს, და ორივე მათგანს პატივისცემასთან ერთად ატანდა _ "რომლებიც დააკლდნენ ქალაქს!"

*ციცა გაბუნავილი*

---

ქალბატონი მზია სულ ახალგაზრდა მოვიდა თეატრში და სიცოცხლის ბოლო წუთამდე ემსახურებოდა მას. მის მიერ განსახიერებული 65-ზე მეტი როლი გამოირჩეოდა დიდი არტისტიზმითა და სიღრმისეული მიგნებებით. ყველაზე დასამახსოვრებელი სახე "ირინეს ბედნიერებაში" "ირინეს" როლით შექმნა. მიუხედავად თავისი მდგომარეობისა და ასაკისა, მზიას თეატრის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოედგინა. უკანასკნელი როლი სულ ახლახან, 18 და 28 მაისს ითამაშა ლორიტა ჯორჯიკიას სპექტაკლში "უნებლიე ავანტიურისტები". სამწუხაროდ, თეატრალურ ფესტივალზე თამაში ვერ შესძლო მოულოდნელი მძიმე ავადმყოფობის გამო. იგი თანაავტორია წიგნისა "თეატრალური სამტრედია". ამით მან დიდი ხნის სურვილი აიხდინა. მზია ჩიხლაძე არა მხოლოდ საკუთარ ოჯახს, ჩვენს ქალაქს, ჩვენს თეატრსა და ბიბლიოთეკას დააკლდება. მისი პაატას მსგავსად, ჩვენ, ყველა, საკუთარ შვილებად მიაჩნდით, მზია ჩვენი საერთო დედა იყო.

ვერ დავივიწყებთ ჩვენ და ვერ დაივიწყებს ის მაყურებელი, ერთხელ მაინც რომ უნახავს სცენაზე მზია ჩიხლაძე!

**ვეფხია ნადირაძე**
**სამტრედიის ეროსი მანჯგალაძის სახელობის დრამატული თეატრის დირექტორი**

ძნელი ყოფილა კარგი ადამიანის დაკარგვა. შეწყდა სიცოცხლე საბიბლიოთეკო საქმის ღვაწლმოსილი თანამშრომლის, მაღალი დონის სპეციალისტის, პროფესიონალის, შრომის ვეტერანის, მზია ჩიხლაძისა.

1960 წლიდან მუშაობდა იგი სამტრედიის სარაიონო ბიბლიოთეკაში, ჯერ მეთოდისტად, შემდეგ საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორის მოადგილედ. იყო მსახიობი და თეატრსა და ბიბლიოთეკას საკუთარ ოჯახად მიიჩნევდა. თავისი საქმის ჩინებულად მცოდნე, თავდადებული, შრომისმოყვარე, გულისხმიერი, დახვეწილი გემოვნების პიროვნება, ყოველთვის იდგა საზოგადოებრივი მოვლენების ცენტრში. ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ემსახურებოდა საყვარელ საქმეს. მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო და სიგელი. კულტურის სამინისტროს მიერ მინიჭებული ჰქონდა საპატიო ბიბლიოთეკარის წოდება. იგი ბოლომდე აქტიური თანამშრომელი გახლდათ, საბიბლიოთეკო ღონისძიებების სულისჩამდგმელი ახალი თაობის წიგნიერების სადარაჯოზე ბოლო დღემდე იდგა.

ჩვენ მარტო სამსახური არ გვაკავშირებდა, ოჯახის წევრებივით ვიყავით, პასუხისმგებლობას ვგრძნობდით ერთმანეთის წინაშე. ჭირი და განსაცდელიც ერთნაირი გვარგუნა ბედისწერამ.

მზია ჩიხლაძის გარდაცვალება დიდი დანაკლისია სამტრედიის საბიბლიოთეკო საზოგადოებისა და მეგობრებისათვის. ნათელში იყოს ჩვენი მზია!

**ლამარა დუნდუა**
**სამტრედიის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორი**

დიდ მწუხარებას გამოვთქვამ ღვაწლმოსილი ქალბატონის, მზია ჩიხლაძის გარდაცვალების გამო! ქალბატონი მზია განსაკუთრებულ ხიბლს სძენდა ჩვენს ქალაქს და მის თეატრალურ ცხოვრებას. მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა განსაკუთრებული ხელწერა გახლდათ სამტრედიისათვის. წიგნისა და განათლების სადარაჯოზეც იდგა იგი და ამის დასტური მისი დამსახურებაა მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებაში. დიდ ნიჭთან ერთად ის სულსა და გულს სდებდა თავის საქმეში, სიყვარულს ასხივებდა. ძალიან დასანანია, რომ ასეთი ქალბატონი დააკლდა ჩვენს ქალაქს, თეატრს, ბიბლიოთეკას.

გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებ მზია ჩიხლაძის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.

**ვალერიანე ფოცხვერია**
**სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი**

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამ ქალბატონ მზია ჩიხლაძის გარდაცვალების გამო. მან საკუთარი ცხოვრების არაერთი წელი შეალია მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებას. ყველა სფეროში, და იგი არაერთ სფეროში მოღვაწეობდა, წარმატებული გახლდათ. მან საკუთარი სიტყვა თქვა სამტრედიის სინამდვილეში და მის ისტორიაში ღირსეულთა შორის დაიმკვიდრა ადგილი. ვუსამძიმრებ სამტრედიას, მის ოჯახსა და მეგობრებს მზია ჩიხლაძის გარდაცვალების გამო.

**დავით ბახტაძე**
**სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე**

პირველი როლი მზიას გვერდით ვითამაშე, 41 წელი გავიდა მას შემდეგ. ბოლო როლი კი ჩემს სპექტაკლში ითამაშა მან! ფესტივალზე მე მომიწია მისი ეს როლი მეთამაშა... მზია უდიდესი მეგობარი იყო ჩემი, მეგობარი მისნაირი უნდა იყოს. მისგან მხოლოდ და მხოლოდ კარგს თუ ისწავლიდი, დადებითი აურა მუდამ თან დაჰქონდა. მაგალითი იყო ქალობის, დედობის, ერთგულების. ჩვენმა თეატრმა ბოლო პერიოდში დიდი დანაკლისი განიცადა, წავიდა როლეზი და წავიდა მზია. კარგია ამას თუ დაწერთ, ჩვენს თეატრს რეანიმაცია სჭირდება, სისხლისგან იცლება სამტრედიის დრამატული თეატრი, თეატრი, ოდესღაც სამტრედიის სავიზიტო ბარათი რომ იყო. მიდიან ის ადამიანები, დღემდე საკუთარი მხრებით, საკუთარი შრომით რომ მოიტანეს იგი. დღეს კიდევ ერთი ნიჭიერი თეატრალი, ნიჭიერი მსახიობი და საუკეთესო მეგობარი უნდა გავაცილოთ ამ სცენიდან და ეს გაუსაძლისად მტკივნეულია.

**ლორიტა ჯორჯიკია**
**რეჟისორი**



ახლა მზიაზე საუბარი არ შემიძლია, ასეთ მზიაზე ვერ ვსაუბრობ... შევაბერდით ერთმანეთს, იმ 54 წლის მანძილზე, ერთმანეთთან რომ გვაკავშირებს, მისგან წყენა არ მახსოვს. პარტნიორები არაერთხელ ვყოფილვართ სცენაზე. საუკეთესო პარტნიორი იყო. გული წყდებოდა, მისთვის ბოლო როლში რომ ვერ ვითამაშეთ ერთად. ასეთ მზიაზე საუბარი არ შემიძლია, ჩემს მზიაზე, კი, ჩემს მზიაზე გეტყვით რომ... მის ოჯახის წევრებთან ერთად იგი მეც დავკარგე.

**ჟუჟუნა ნიკურაძე**
**მსახიობი**

ჩემი მეუღლე, როლეზ გოგიშვილი მზია ჩიხლაძის სცენიური შვილი იყო. დედა-შვილი ითამაშეს "საბრალდებო დასკვნაში". ამ როლს მათი განსაკუთრებული ურთიერთობა მოჰყვა. მისი სცენიური შვილის გარდაცვალებიდან მეხუთე თვეს შეუსრულა დანაპირები როლეზს, მეც მალე მოვალო! ორივე ძალიან დააკლდება სამტრედიას. დღევანდელი დღე ძალიან მძიმეა ჩემთვის.

**მაყვალა ტკვაცირია**
**მსახიობი**

მე მას სამტრედიის ვერიკო ანჯაფარიძეს ვეძახდი. იგი ბოლომდე დაიხარჯა სამტრედიისთვის. ვალმოხდილი წავიდა მზია. ახალგაზრდობაში პარტნიორებიც გახლდით, მისი პროფესიონალიზმი გიადვილებდა მის გვერდით სცენაზე დგომას. წავიდა მზია და ჩვენი უდიდესი გულისტკივილი გაიყოლა.

**რადი შენგელია**
**მსახიობი**

სამწუხაროდ, უკვე მეორედ გვიწევს სცენიდან მსახიობის გაცილება. და ამ ორ არასასიამოვნო მოვლენას სულ რამდენიმე თვე აშორებს ერთმანეთთან. "კვაჭი კვაჭანტირაძეში" მოგვიწია პარტნიორობა. მისი პროფესიონალიზმის წყალობით, იგი საუკეთესო პარტნიორი გახლდათ. მზიაც წავიდა და დამეთანხმებით, ეს დიდი ტკივილია ჩვენთვის, მეგობრებად, ერთ ოჯახად ქცეული კოლეგებისთვის.

**გია სტურუა**
**მსახიობი**

საბოლოოდ ვეთხოვებით ღირსეულ ადამიანს, კარგ მსახიობს, საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორის მოადგილეს, ქალბატონ მზია ჩიხლაძეს. ქალბატონი მზია ორი მუზის მსახური იყო, თეატრისა და წიგნის. იგი უაღრესად აქტიური ქალბატონი გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ 83 წლისა წავიდა, მის თანამედროვეთ არ გვაქვს უფლება, მოხუცად წარმოვიდგინოთ. საოცარი პათოსით კითხულობდა ლექსს, რომლის სტროფებიც ასე ჟღერს: "განგ-

ზე გამიდექ სიბერევ, სიცოცხლეს ვიწყებ თავიდან!'' და ასეც იყო, ჩვენ ხანდაზმული ქალბატონი მზია არ გვახსოვს. მახსოვს "სათნოების სახლში'' ისეთი პათოსით წაიკითხა ეს ლექსი, რომ საწოლს მიჯაჭვულ ავადმყოფებს სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა. წლევანდელი წლის დასაწყისში ქალბატონმა მზიამ რაიონის ისტორიაში პირველად მიიღო მონაწილეობა წლის ბებია-ბაბუას კონკურსში და მუნიციპალიტეტს წარმატება მოუტანა. აღსანიშნავია ისიც, რომ ის გახლდათ თანაავტორი სამტრედიის თეატრალების ცხოვრების ამსახველი წიგნისა, რომელიც რაც დრო გავა, სულ უფრო მეტ სამსახურს გაუწევს დაინტერესებულთ. წლევანდელი თეატრალური სეზონის დასაწყისშივე აფიშაზე პირველ რიგში ეწერა ქალბატონი მზიას გვარ-სახელი. ორიოდე კვირის წინ, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებებზე, არათუ მხოლოდ ორგანიზებაში მიიღო შეიტანა წვლილი, მის მსვლელობაშიც აქტიურად მიიღო მონაწილეობა. მინდა გულწრფელი სამძიმარი გამოვხატო მისი დიდ ოჯახის, სანათესაოს, სამეგობროს და მთელი სამტრედიის მიმართ, რამეთუ ქალბატონი მზია სამტრედიას მოუკვდა.

ამ წუთებში დედაქალაქში კიდევ ერთ ღირსეულ სამტრედიელს, მურმან კაშიას კრძალავენ.

გავა წლები და სამტრედიელები გაიხსენებენ, რომ ამ პატარა ქალაქში დადიოდა კაფანდარა ქალბატონი, გულით მოყვასის სიყვარულს რომ დაატარებდა. მინდა თქვენი გვარის ღირსეული წარმომადგენლის, კორნელი ჩიხლაძის სტრიქონებით გამოგეთხოვოთ:

"იკითხონ იმათ, ვინც აქედან უკვალოდ წავლენ.

ხოლო თქვენს სახელს, თაობები შეინახავენ!''

**ლევან გაბეჩავა**
**გაზეთ "სამტრედიის მაცნეს'' პასუხისმგებელი მდივანი**

ბევრი შეიძლება ითქვას ქალბატონ მზიაზე, როგორც მსახიობზე, მაგრამ მე მინდა ვისაუბრო მასზე, როგორც საუკეთესო ადამიანზე. ვერ მოიძებნება ადამიანი, ვინც ოდნავ მაინც ნაწყენი დაეტოვებიოს ამ წუთისოფელში. მე არ მინახავს გაბრაზებული მზია, მე მხოლოდ მომღიმარი მყავს იგი ნანახი და ასეთად დამამახსოვრდება კიდეც.

**დავით კოკალეიშვილი**
**მომღერალი**

მზია ჩიხლაძე მრავალმხრივი ქალბატონი იყო, აქტიური საზოგადოებრივ სარბიელზე, ნიჭიერი ხელოვანი და თავის სამსახურში, ბიბლიოთეკაშიც ნომერ პირველი ქალბატონი. არაერთი კარგი თეატრალური სახე შექმნა მან იმ პერიოდში, რომ

ცა კულტურის სამსახურს ვხელმძღვანელობდი. თუმცა, ბევრი კარგი როლი ჰქონდა ნათამაშები მანამდეც და შემდეგაც. მას სცენაზე ასაკი არ ეტყობოდა, და ბოლო პერიოდში ძალიან მიკვირდა, როგორ იმახსოვრებდა ამდენად დიდ ტექსტებს. აი, ახლაც, სულ რამდენიმე კვირის წინ, სცენაზე საპასუხისმგებლო როლით იდგა. მისი სახით კარგი ქალბატონი, პატივსაცემი ადამიანი დააკლდა სამტრედიას.

**ბადრი ვაშაკიძე**

ერთდროულად რამდენიმე ფრონტზე იბრძოდა მზია, წიგნის პროპაგანდა, თეატრი, საზოგადოებრივი ცხოვრება... ყველგან იყო იგი ერთნაირად მონდომებული, შემართული და წარმატებული. გარდა ამისა, მისი ყველაზე დიდი ხიბლი კარგი ქალობა, კარგი ადამიანობა გახლდათ. მისი ცხოვრების უდიდესი ტრაგედია, შვილის გარდაცვალება თეატრალურ ცხოვრებასთან ჩამოშორების საბაბი გახდა, მაგრამ წლების შემდეგ იგი კვლავ დაუბრუნდა სცენას, რომელთანაც საკუთარი ოჯახით, მთელი თავისი არსებით იყო დაკავშირებული. 6 ათეული წელი აკავშირებდა მას თეატრთან. ამიტომაც, იგი უბედნიერესი იყო, სამტრედიელი თეატრალების ცხოვრება წიგნად რომ შეკრა. იგი არა უფროსი თაობის, სამტრედიაში საუკეთესო თაობის, იმ თაობის წარმომადგენელი გახლდათ, თეატრალური სამტრედიის სახელი დიდ სარბიელზე რომ გაიტანეს. მარტო მისი მეტყველების კულტურა რად ღირდა სცენაზე! ღირსეულმა ქალბატონმა დატოვა ჩვენი ქალაქი, მოსანატრებელმა, საუკეთესო ქალბატონმა!

**საშა ლეჭავა**
**ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ "სამტრედიას" წევრი**

მზია ჩემთვის კარგი ქალობის, მეუღლეობის, დედობის ეტალონი იყო. საუკეთესო მეგობარი გახლდათ, ეს მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოვებული ქალბატონი. მიხარია, რომ ჩვენი ერთობლივი ნამუშევრით, ჩვენი წიგნით სამტრედიის თეატრალური ცხოვრება წარმოვაჩინეთ. ძალიან უხაროდა და მეც მიხარია, რომ ეს ერთი შტრიხიც აღმოვაჩინე მზიას შესაძლებლობებისა. ბედნიერად ვთვლიდი თავს, რომ ამ წიგნზე მასთან მუშაობა მომიწია. ცოტა ხნის წინ "საქართველოს ბებიობა'' მივულოცე, ლექსიც მივუძღვენი, რომელიც ასე მთავრდებოდა: "დროა უკვე გაგიხსნან, საკუთარი ვარსკვლავი...'' ალბათ, მოვა დრო და ამას გააკეთებენ სამტრედიელები, რათა შთამომავლობას დაანახონ, რომ კარგი ადამიანობა, კარგი ქალობა, ნიჭიერება არ იკარგება.

**ბორის ფოცხვერაშვილი**

ღირსეული ადამიანი დაკარგა სამტრედიამ, ფუტკარივით მოფუსფუსე, ქალაქის კოლორიტი, მარად ახალგაზრდა, შემართებით სავსე ქალბატონი. იგი ჩვენი ოჯახისთვის ძალიან ახლობელი გახლდათ. მას, როგორც ნიჭიერ მსახიობსა და საუკეთესო ქალბატონს, მამაჩემმა, დომენტი გოგიტიძემ ლექსი მიუძღვნა, რომლითაც მინდა გავაცილო უკანასკნელ გზაზე:

"ვეტრფი როლებს შენ რომ შეჰქმენ,
შენი სულის თანაზიარს,
ცხოვრებაში კარგია და
სცენაზე სულ ლამაზია
ჩიხლაძიანთ ქალი მზია!''

**გულიკო გოგიტიძე**
**პედაგოგი**

**ღირსეულად გიცხოვრია მზია ჩიხლაძის ხსოვნას**

ჩვენო მზია, რამდენიმე დღის განმავლობაში შენს მაჯისცემას გრძნობდნენ და სასიცოცხლო ცვლილებას ელოდნენ ოჯახის წევრები, ახლობლები, მეგობრები, შენი მეორე ოჯახის _ მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების მუშაკები, მისი ხელმძღვანელი, შენი დიდი ხნის მეგობარი ქალბატონი ლამარა, კულტურის სახლის თეატრალური დასი. ამ კრიზისულ დღეებში გზაგამყოფზე იდექი, მაინც შვილისა და მეუღლის ხილვამ და მონატრებამ დაგძლია, დაგავიწყდა სააქაო, თუმცა, აქ, ოჯახში შენი გულის ნაწილი და ის ფასდაუდებელი ამაგი დატოვე, რაც შენს მონაგარს მხოლოდ სიკეთისკენ გაუკვალავს გზას.

პროფესიულმა საქმიანობამ _ სცენამ და ბიბლიოთეკამ, საზოგადოებასთან ყოველდღიურმა ურთიერთობამ, შვილიშვილებისადმი განუზომელმა ზრუნვამ, საყოველთაო სიყვარულმა და პატივისცემამ უდიდესი მუხტით დაგტვირთა.

სამტრედიელებს დაამახსოვრდები, პირველ რიგში, როგორც ღირსეული ქალბატონი, მსახიობი, მხატვრული სიტყვის ოსტატი, საუკეთესო ბიბლიოთეკათმცოდნე, კულტურულ ღონისძიებათა ერთ-ერთი შემოქმედი, ღიმილიანი მანსპინძელი, წიგნის "თეატრალური სამტრედია'' თანაავტორი, წლის საუკეთესო ბებიად მონათლული. ეს წოდება ხომ ახლახან 2018 წლის იანვარში მოგანიჭეს.

ჩემო მზია, 83 წლის ასაკში რომ ასეთ დიდ სიყვარულს და შენი განშორებით გამოწვეულ გულისტკივილს დაუტოვებ შენს ქალაქს, საზოგადოებას, ე. ი. ღირსეულად გიცხოვრია, ჭეშმარიტი სამტრედიელი ხარ. შენ ოცნებობდი, მე კი, როგორც ერთ-ერთი სამტრედიელი, ვადასტურებ, დიახ, შენ ჩვენთვის სამტრედიის საპატიო მოქალაქეც ხარ, ეს განვლილი ცხოვრების გზით დაიმსახურე და დაამტკიცე, რომ რეგალიები ყოველთვის მთავარი არ არის.

**ნათელა გელეიშვილი**

## კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს!

**არიან ადამიანები, რომლებიც გარდაცვალების შემდეგ თავიანთი კომპეტენციით, საქმის ერთგულებით, წესიერებით, მამულიშვილობით არა მარტო ოჯახებსა და ახლობლებს, არამედ მთელ ქალაქს დააკლდებიან. ასეთ ღირსეულ მამულიშვილთა შორის მოიაზრება ჩვენი ქალაქის მკვიდრი, ნიჭიერი მათემატიკოსი ბატონი მურმან კაშია. მურმანი არა მხოლოდ სახელოვანი პედაგოგი იყო, არამედ საუკეთესო მოქალაქე და ადამიანი. ამდენად სრულიად გასაგებია, ის საყოველთაო სევდა, რომელიც მისმა გარდაცვალებამ გამოიწვია ჩვენს ქალაქში. მურმანი ჩვენი სკოლის ერთ-ერთი წარმატებული მასწავლებელი გახლდათ. იგი გამოირჩეოდა მუშაობის სტილით. გამორჩეული იყვნენ მისი შეგირდებიც, რომლებიც ძალიან უყვარდა. ისინიც უკლებლივ უბრუნებდნენ სითბოსა და სიყვარულს სახელოვან პედაგოგს.. მურმანს ჰქონდა დიდი პედაგოგისათვის დამახასიათებელი თვისებები. დამჯერებლობა და ერთგულება. ჩვენი სკოლის მაღალი ავტორიტეტი სწორედ მურმან კაშიასა და მისი მსგავსი პედაგოგების დამსახურებაა. დრომ ბევრი რამ წაიღო, მაგრამ არაფერი დაუკლია მისი შრომისმოყვარეობისთვის, შემართებისა და ობიექტურობისათვის. პირველსკოლელებმა ვიცით ვინ დავკარგეთ!**

**ჩვენო მურმან, ბედნიერი კაცი ხარ, რადგან შენს პედაგოგიურ მოღვაწეობას არასოდეს დაივიწყებენ შენი შეგირდები, მეგობრები, კოლეგები, შენი თანაქალაქელები! მშვიდობით ძვირფასო კოლეგავ და მეგობარო! სამტრედიის პირველი საჯარო სკოლის კოლექტივი ყოველთვის იამაყებს, რომ შენ მათი განუყოფელი ნაწილი, მათი თანაგუნდელი და თანამებრძოლი იყავი! ჩვენო მეგობარო, განისვენე მშვიდად, რადგან დარწმუნებულნი ვართ, უფალი ცათა სასუფეველში დამსახურებულ ადგილს მიგიჩენს ღირსეულთა შორის!**

***შენი პირველსკოლელები!***

ნინო ნანიტაშვილი

"ცისარტყელა დედამიწის გარშემო" _ ამ სათაურით ჩაატარა წლის საანგარიშო კონცერტი კულტურის ცენტრთან არსებულმა ანსამბლმა "იმედმა". მაყურებლით გადაჭედილ დარბაზში იყო წინასწარი განწყობა, რომ საზაფხულო კონცერტი იქნებოდა სიახლეებითა და მოულოდნელობებით აღსავსე. ასეც მოხდა. როცა ფარდა აიწია, სცენაზე წარმოდგენილმა უცხო გარემომ გაამართლა მოლოდინები.

2018 წლის საანგარიშო კონცერტზე ანსამბლმა "იმედმა" თავის მაყურებელს შესთავაზა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სიმღერები და ცისარტყელას თბილი ფერებით გაჯერებული ჰიტები.

კონცერტი გაიხსნა ქართული "იავნანათი". საღამო მიმდინარეობდა ორ ენაზე, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ წამყვანი ცალკეულ ნომერს წარმოადგენდა როგორც ქართულ, ასევე იმ ენაზე, რომელ ენაზეც სიმღერა იყო დაწერილი.

ქართულთან ერთად შესრულდა სიმღერები ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, იტალიურ, ებრაულ, გერმანულ, ბერძნულ, თურქულ, სომხურ, ინდურ ენებზე. ყველა სიმღერას ანტურაჟს უკეთებდა "იმედის" დიდი მეგობარი შოუ-ბალეტი "ფანტაზია" (ხელმძღვანელები ქრისტინე ზაქრაძე, ნანა ბებია).

ანა აბზიანიძემ რეპერტუარის შერჩევის დროს საზოგადოების გემოვნება და ხასიათი გაითვალისწინა. იყო ისეთი ცნობილი ჰიტები, რომლებიც დასაწყისშივე სასიამოვნოდ განაწყობდა მაყურებელს, რომელიც აპლოდისმენტებს არ იშურებდა. სულ შესრულდა 21 ნომერი.

"იმედის" დიდი და პატარა თაობა იმ დღეს ერთად იდგა სცენაზე. უფროსები ეხმარებოდნენ უმცროსებს, რათა მათ უფრო უკეთ წარმოედგინათ ესა თუ ის ქვეყანა.

კონცერტში ასევე მონაწილეობდა ჯგუფი TRINITY. მათ წარადგინეს ის ნომრები, რომელიც "X ფაქტორის" მაყურებელმა ვერ იხილა ტელევიზიით.

საღამო მიჰყავდა ნიჭიერ და პოპულარულ მომღერალს, საბა ჩაჩუას.

კონცერტის ბოლოს "სამტრედიის მაცნე" დაუკავშირდა ანსამბლ "იმედის" ხელმძღვანელს, ანა აბზიანიძეს: "ძალიან დიდი ბედნიერებაა ჩემთვის ყველა კონცერტის დაწყება იმდენად, რამდენადაც ყველა ჩემს კონცერტზე იხსნება ფარდა, ვხედავ გადაჭედილ დარბაზს და მაყურებლის მოლოდინს, რომ "იმედი" წელსაც ახალს შესთავაზებს. ამიტომაც მაქსიმალურად ვიბრძვი იმისთვის, ყველა კონცერტი ერთმანეთისგან იყოს განსხვავებული, რათა მომავალში კიდევ სიამოვნებით მოვიდნენ "იმედის" საღამოებზე. მეგონა, რომ დედამიწას სჭირდებოდა ჩვენი ჩახუტება და ამის გამო რეპერტუარი შეირჩა მთელი მსოფლიოს საესტრადო ცისარტყელას ფერადი სიმღერებით. მაყურებლის ოვაციებით თუ ვიმსჯელებთ, წლევანდელი კონცერტიც შედგა და "იმედმა" იმედგაცრუებული არავინ დატოვა. განსაკუთრებული მადლობა მინდა, გადავუხადო კულტურის ცენტრის დირექტორს, ვეფხია ნადირაძეს, რომელიც როგორც მორალურად, ასევე მატერიალურად იდგა ჩვენს გვერდით. მაყურებელი მეტ სტიმულს გვაძლევდა, როცა დარბაზში ისინი სხვადასხვა დროშებს გვიფრიალებდნენ. კონცერტიც ხომ ასე ამაღელვებლად დასრულდა: საფინალო ქართულ სიმღერას მთელი დარბაზი ქართული დროშითაც და სხვადასხვა ქვეყნის ალმების ფრიალით ამხნევებდა".

# სამტრედიელი მძლეოსნები ისევ იმარჯვებენ

ქეთევან ჭელიძე

ღანირელ წარმატებულ სპორტსმენებზე წერილის დასაწერად ისევ თამაზ გოგიბერიძის დეკორაციულ ეზოში ვიმყოფებით. სწორედ აქ ახდენს იგი თავისი მოსწავლეების მომზადებას, აქ ოსტატდებიან ისინი სირბილში, ბადროს ტყორცნაში, სიგრძეზე ხტომაში. მათთვის ბატონმა თამაზმა საკუთარი ხელით მოაწყო სარბენი ბილიკი, სახტომი ორმო, ტრენაჟორები და სხვა.

ღანირელი მძლეოსნები სისტემატურად მონაწილეობენ შეჯიბრებებში და, როგორც მწვრთნელი გვიდასტურებს, საპრიზო ადგილების გარეშე არ რჩებიან. ასე მოხდა 2018 წელსაც. მისმა აღზრდილმა გოგა გოტიაშვილმა საფრანგეთში გამართულ ჩემპიონატში იასპარეზა და 200 მონაწილეს შორის მე-13 ადგილი დაიკავა.

სულ ახლახან კი საქართველოს პირველობაზე გამართულ ჩემპიონატში თორნიკე მიქაძემ 400 მეტრზე რბენაში მე-2, ხოლო ამანათრბენაში მე-3 ადგილი დაიკავა. იმერეთის პირველობაზე სხვადასხვა დისტანციაზე რბენაში საპრიზო ადგილები მოიპოვეს ანა ხაბეიშვილმა, საბა გოგიბერიძემ, ლიზი ცინცაძემ და ლიზი ჯაბუამ. ისინი შესაბამისი პრიზებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

თამაზ გოგიბერიძე, რომელსაც მრავალი წარმატებული სპორტსმენი აღუზრდია, ჩვენთან საუბარში თავისი მოსწავლეების უპირატესობას გამოხატავს. "ანა ხაბეიშვილი, _ ამბობს ის, _ 2006 წელსაა დაბადებული, შესანიშნავი მონაცემების ბავშვია, ჯერ მისი ასაკის სპორტსმენებს შორის შეჯიბრება არ ჩატარებულა, მონაწილეობა რომ მიეღო. მჯერა, მასზე უფროსი ასაკის სპორტსმენებთან რომ იასპარეზოს, გამარჯვებული გამოვა".

ძალიან სწრაფი და მოქნილი ბავშვიაო, ახასიათებს პედაგოგი ყველაზე უმცროსი ასაკის მქონე დიმა სახოკიას, რომელმაც ცოტა ხნის წინ დაიწყო მასთან ვარჯიში.

მხარდაჭერის გამო თამაზ გოგიბერიძე მადლობას გამოთქვამს ღანირის საჯარო სკოლის დირექტორის გოჩა დანელიას მიმართ, რომელიც შესაძლებლობის ფარგლებში სპორტული ნივთებითაც ეხმარება მძლეოსნებს.

ვანო კილტავამ, მუნიციპალიტეტის სპორტული სკოლის დირექტორმა წარმატებები მიულოცა ღანირელ მძლეოსნებს. აღნიშნა, რომ ის ბაზა, რომელიც თამაზ გოგიბერიძემ შექმნა, "ცხადია, მიზერულია და საკმარისი არ არის, მაგრამ შეუძლებელს აკეთებენ და შედეგებიც სახეზეა. სამტრედიაშიც გვყავს მძლეოსნები, მაგრამ არა იმ რაოდენობით, როგორც ეს აქ, ღანირშია.

კურიოზსაც გეტყვით: ბავშვი შეჯიბრზე გადის და სარბენი ბილიკი ნანახი არ აქვს. სრულყოფილ ბილიკს ვამბობ, თორემ თქვენც ხედავთ, როგორი მოწყობილი აქვს იგი ბატონ თამაზს, როგორ აქვს გაკეთებული ტრენაჟორები და უამრავი სხვა რამ, რაც მძლეოსნობისთვისაა აუცილებელი.

ჩვენს ცენტრალურ საფეხბურთო სტადიონს ირგვლივ სარბენი ბილიკი გასდევდა, მართალია, მწყობრიდან იყო გამოსული, მაგრამ აღდგენა შეიძლებოდა. სტადიონის ახალმა პროექტმა იგი მთლიანად შთანთქა. სარბენი ბილიკი თუ არ გვექნა, შეუძლებელია მძლეოსნობა განვითარდეს. რა მიღწევებიც კი დღეს ჩვენ გვაქვს სპორტის ამ სახეობაში, ეს ბატონი თამაზისა და გელა ცინცაძის დამსახურებაა."

ბატონმა ვანომ მადლობა გადაუხადა თამაზ გოგიბერიძეს დიდი შრომისათვის, იმ მიღწევებისათვის, რასაც ის მინიმალური შესაძლებლობებით მაქსიმალურს აღწევს.

# “სკოლაში, ცოდნის ბაღში ვმეზვრეობ”

ნათია ნაცვლიშვილი

***“ოცნებე, ოცნებები ხდება” – ასე სწამთ და სჯერათ ამ სახენათელ, ენერგიულ და ნიჭიერებით გამორჩეულ გოგო-ბიჭებს. ჩვენ წავალთ და ამ მერხებს სხვები მიუსხდებიანო, სიმღერ-სიმღერით გვეუბნებიან ბავშვები. მეთორმეტე სკოლის მეოთხე კლასის გამოსაშვები საღამოს სტუმრები ვართ, მრავალწლოვანი პედაგოგიური სტაჟის მქონე მედეა გეგეშიძეს თვალზე მოსწავლეებთან განშორების ცრემლი უბრწყინავს, ის უკვე უამრავი ლამაზი თაობის გზამკვლევია. ახლაც, ამ ლამაზ საღამოზე წარმოაჩენენ მისი აღზრდილები პედაგოგის შრომის და თავგანწირვის შედეგს. ჟურნალისტის ამპლუაში არაერთხელ შემიფასებია ამ გოგო-ბიჭების ნიჭიერება, დავსწრებივარ მათ ბრწყინვალე მათემატიკის გაკვეთილს, მათ თემატურ ღონისძიებებს, ამდენად, არც ამ ბავშვების ლამაზი ღონისძიება გავგაკვირვებია.***

მათი ზეიმის პარალელურად, ეკრანზე პირველი სასწავლო დღის კადრები გადიოდა, უკვე ცხოვრების უფრო საინტერესო ეტაპზე ვართო, გვითხრეს ბავშვებმა. მედიო მასწავლებელს კი პირობა მისცეს, რომ არასოდეს შეარცხვენენ სკოლას. ვანიო ყურულაშვილმა მუსიკალური

სოლო ნომრებით მოხიბლა მსმენელი, ყველა მოსწავლე შესანიშნავად მღერის, ცეკვავს. ბრწყინვალედ წაიკითხეს ქართველ პოეტთა ლექსები სამშობლოზე, დედაზე, მასწავლებელზე. “ქუდი მოიხადე, ბატონო ჩემო, მასწავლებელი მოდის”_ საოცარი სითბოთი მიესალმნენ მასწავლებელს. იაკობ გოგებაშვილიც გაიხსენეს, საუკუნეებმა რომ ვერ დაბინდეს მისი ღვაწლი და მოდგმიდან მოდგმას რომ გადაეცემა მისი “დედაენის” შრიალი. გმირი მეფეები და სამშობლოსათვის თავდადებული სხვა ქართველებიც გაიხსენეს. ეს ხომ მათი საქართველოა, “საქართველო მზის წილხვდომილი”, ხვალ მათგან თავდადებას და დაცვას რომ მოითხოვს, ამიტომაც უნდა მოიმარჯვონ მახვილად და მშვილდად ცოდნა და სწავლა!

ქართულ-დავლური, აჭარული, რაჭული უბადლოდ შეასრულეს ბავშვებმა,

და საღამოს ფინალური აკორდი ლეზგინკა და მთიულური გახლდათ. ეს იყო სცენაზე დანთებული ქართული და ჩეჩნური ცეკვების ცეცხლი, ეს იყო, როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა, “როკვით განფენილი ქართული გენიის” საოცარი გაბრწყინება... ეს ბავშვები ახალგაზრდა ქორეოგრაფმა ქრისტინე უღრელიძემ მოამზადა, და ეს საღამო მისთვის პედაგოგიური დებიუტი გახლდათ. მედეა მასწავლებელს ცეკვით მიესალმნენ მერვე კლასელები, მისი აღზრდილები და მასთან გატარებული ლამაზი წლები გაიხსენეს.

მედეა მასწავლებელმა პატარები დედობრივი სიყვარულით დალოცა: “ დაგლოცავთ ჩემო საყვარელო ბავშვებო, მადლობა ჩემს მერვე კლასელებს, რომელთაც საღამო გამილამაზეს, პირობა აუცილებლად უნდა შეასრულოთ და კარგად ისწავლოთ, მადლობა მუსიკის პედაგოგს, ლელა გოლიაძეს, მადლობა დირექტორს, მშობლებს, ყველას დიდი მადლობა თანადგომისათვის”. შეკრებილთ მიესალმა სკოლის დირექტორი ნინო ონიანი: “მესმის, ძალიან რთულია საყვარელ პედაგოგთან განშორება, 4 წელი დედასავით რომ ზრუნავდა თქვენზე; მესმის, სხვა მასწავლებელი არ არის თქვენთვის ასე ძალიან მნიშვნელოვანი პერსონა, მე-5 კლასიდან თქვენ სხვადასხვა მასწავლებლებთან გექნებათ ურთიერთობა. მენდეთ, ერთ პირობას გაძლევთ: თქვენს სიყვარულში მათ ჩვენც შევეცილებით, ამ მხრივ გული არ დაგწყდებათ! ამ წლების განმავლობაში დიდი ცოდნა შეიძინეთ, ეს ღია გაკვეთილზეც გამოჩნდა, დიდი საფუძველი გაქვთ იმისა, რომ კარგები იყოთ, ჩვენ აუცილებლად გაგახსენებთ პირობას, კარგად ვისწავლითო, რომ დაგვპირდით. ამ საძირკველზე, გვჯერა, მყარი კედლები და კარგი სასახლე აშენდება. არჩვეულებრივმა მეთორმეტე კლასმა დაამთავრა წლეულს სკოლა, ეს ბავშვებიც მედეა მასწავლებლის აღზრდილები არიან, თქვენც არანაკლებ კარგები და ღირსეული ცვლა იქნებით ამ სკოლისათვის! სექტემბრიდან უკვე ახალ კარს შეაღებთ, წარმატებული ყოფილიყოს ამ ახალი კარის შეღება თქვენთვის!”

# ის პატრიოტიზმი, რაც ახლა აქვთ, გაუორმაგდებათ

სასკოლო ჯგუფის აღსაზრდელების გამოსაშვები საღამო გაიმართა 8 ივნისს მე-2 ბაგა-ბაღში. ძირითად თემად პატრიოტიზმი იქნა არჩეული. საქართველოს სიყვარულს მიუძღვნეს მე-2 ბაგა-ბაღელებმა სამშობლოს თემაზე დაწერილი ლექსები, სიმღერები. ეროვნულ სამოსში გამოწყობილი პატარები მაყურებლის წინაშე თავს იწონებდნენ ქართული ცეკვებით. შესრულდა ულამაზესი დაისი. ღონისძიებას სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ხათუნა გაგუა, მოადგილე მარინა შენგელია და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ.

მე-2 ბაგა-ბაღმა თავისი არსებობის მანძილზე 67-ჯერ სკოლისაკენ მიმავალი გზა დაულოცა პატარებს.

წელს სამტრედიის სხვადასხვა საჯარო სკოლებში პირველკლასელთა მერხებს მე-2 ბაგა-ბაღიდან 42 აღსაზრდელი მიუჯდება. სწორედ მათი მონაწილეობით გაიმართა ლამაზი საღამო, სადაც ბავშვებმა საუკეთესო უნარები გამოავლინეს. კერძოდ, თავიანთი ასაკის შესაბამისად ლიტერატურის ცოდნა, ბიჭებმა მაყურებელი თავიანთი კარგად წაკითხული ლექსებით მოხიბლეს.

ხათუნა გაგუა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი: “ღონისძიების მომზადებაში ლომის წილი მიუძღვის ბაგა-ბაღის მმართველს, ინგა კვერნაძეს. აღმზრდელებს ხათუნა ტონიას და თიკო ნინუას, ასევე მეთოდისტს ლელა ჯოგლიძეს. როცა ასეთ კარგ ღონისძიებას ნახავ, არ შეიძლება მათი დამსახურება აღნიშვნისა და მადლობის გარეშე დატოვო. მჯერა ეს პატარები ასევე კარგები და მოწესრიგებულები იქნებიან სკოლაშიც. ის პატრიოტიზმი, რაც ახლა აქვთ, გაუორმაგდებათ და სამშობლოსათვის თავდადებული გოგო-ბიჭები გაიზრდებიან”.

***ნინო ნანიტაშვილი***

თეა ბაბუნაშვილი

# მონუმენტი წიგნს

***ყოველი დღე დედაენისა უნდა იყოს და ამიტომ... დროში ცოტა გაგვიჭიანურდა ერთ საინტერესო ამბავზე საუბარი. თუმცა, აუცილებლად უნდა მოგიყვეთ სკოლაზე, სადაც წიგნის მონუმენტი დაიდგა, ვადაშლილი წიგნისა, რომლის ერთ გვერდზე რუსთაველი, მეორეზე კი გურამიშვილია ამოტვიფრული. მიზეზს რა დალევს, ამჯერად საპატიოს და 14 აპრილს ვერ მოხერხდა მისი გახსნა. თუმცა, როგორც ღონისძიების ორგანიზატორმა და დიდი ჯიხაიშის პირველი საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა, თამაზ ნუცუბიძემ აღნიშნა, "მართალია, "დედაენის დღედ" 14 აპრილი დაწესდა, მაგრამ საქართველოში ყველა დღე დედაენისაა, რადგან ქართველებისთვის ჩვენი ენა ჩვენი სულიერი კულტურის, თვითმყოფადობის ქვაკუთხედი და თანაზიარია."***

ეს ამბავი მოხდა სკოლაში, სადაც იოანე და თემურ ვაშაკიძეები სწავლობდნენ, სადაც მათი სახელობის ცოდნის სკვერია გახსნილი და სადაც ამჟამად სწავლობს წლის ეტალონელი მეგი კახეიშვილი. ეს ყველაფერი გვაძლევს საბაბს, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ უბრალო ჭეშმარიტება, მთავარია, სურვილი იყოს, თორემ ცოდნის მიღებას სულაც არ სჭირდება დიდი ქალაქების პრესტიჟული სკოლები და "აი იას" შესასწავლად დახარჯული სოლიდური ფინანსები. მაგალითი სამტრედიის რეალობაშია _ დიდი ჯიხაიშის საჯარო სკოლა! იგი სამედიცინო უნივერსიტეტის უნიჭიერესმა სტუდენტებმა იოანე და თემურ ვაშაკიძეებმა დაასრულეს და როგორც უკვე გითხარით, აქ წლის ეტალონელი მოსწავლე სწავლობს!

იდეა იოანესა და თემურის მამას ეკუთვნის. მის განსახორციელებლად ის იოანეს კლასის ყოფილ დამრიგებელთან, ფილოლოგ თამაზ ნუცუბიძესთან მივიდა. მხარდაჭერა სკოლის დირექტორ მანანა ხაზალიასგანაც მიიღეს და... პატარა ღონისძიება, დიდი ჯიხაიშის ბიბლიოთეკის მესვეურებთან ერთად მოაწყვეს. თამაზ ნუცუბიძის ხელწერა ეტყობოდა მას, საინტერესო გადაწყვეტა ჟანრობრივი და რეჟისურული თვალსაზრისით. როგორც მოსალოდნელი იყო, სანახაობა იოანე და თემურ ვაშაკიძეების სახელობის ცოდნის სკვერში გაიმართა. თამარ კაჭახიძემ და ნანა ჭითავამ ბიბლიოთეკარების რანგში გაუწიეს მას ორგანიზება. მისი ლაიტმოტივი იაკობ გოგებაშვილის სიტყვები, "... ვაფასებთ ჩვენ ამ დაუფასებელ საუნჯეს? გვესმის ჩვენ მისი უმაღლესი ღირსება და მნიშვნელობა? ქართული ენა ამჟამად ჰგავს მშვენიერ ფოლადის სახნისსა რომელიც უგუნურს პატრონს კუნჭულში მიუგდია, იშვიათად ჰხმარობს და ჟანგს აჭმევინებს... არა ერთს განათლებულს ქართველს სახლობას შეხვდები, სადაც მოზარდი თაობა ლაპარაკობს და ტიტინებს რომელსამე უცხო ენაზედ და ქართულისა კი ჭაჭანებაც არ ისმის..." _ ალბათ ქართული ხასიათიდან გამომდინარე, პრობლემა იაკობ გოგებაშვილის თანამედროვეობაშიც რომ მდგარა ქვეყნის წინაშე, დღესაც აქტუალურია. დღესაც ამ სიტყვებს იმეორებდნენ იმერეთის ერთ არცთუ პატარა სოფელში, სადაც ჯერ კიდევ საუკუნის წინ ნიკო ნიკოლაძისეულ მამულში ბევრ ქართულ ნოვაციას ჩაეყარა საფუძველი.

თამაზ ნუცუბიძემ წლების წინ იოანე ვაშაკიძის მიერ გაკეთებული კედლის გაზეთი აჩვენა შეკრებილებს, რომელიც მაშინაც ქართული ენისთვის მიეძღვნა მის კლასს და ფრაზით "საქართველოს მთებში გაგაჩინა ზენამ" გახლდათ დასათაურებული.

იმ დღეს დიდ ჯიხაიშში გაიმართა ღონისძიება, სადაც მუნიციპალიტეტის მერმა ვალერი ფოცხვერიამ აღნიშნა: "ქართული ენა ყოველთვის იდგა კრიტიკულ ზღვარზე. ეს ზღვარი ადრე რუსული იყო, დღეს ინგლისურია. აქ 1978 წელი ახსენეს, და უფროს თაობას კარგად ახსოვს, ქართულისთვის სახელმწიფოებრივი ენის სტატუსის გაუქმების მცდელობას როგორ დაუდგა წინ ქართველი ერი. დაირაზმა ინტელიგენცია, უნივერსიტეტი, სკოლები... დიახ, გადაშენება არ უწერია რუსთაველის ენას საქართველოში. უცხო ენების ცოდნით ვერ დავიკვეხნი, მაგრამ ვიცი რუსული ენა და ვიცნობ რუსულ პოეზიას, რომელსაც დიდი ხიბლი აქვს, მაგრამ წარმოუდგენელია რუსულ ენაზე ითარგმნოს ისე, როგორც ქართულ ენაზე. ჩვენს ენას აქვს განსაკუთრებული სითბო. დავესესხოთ ისევ რუსთაველს: "კალვის კალთა ჩახლართული ჩავჭერ, ჩავაკარაბაკე"! შეუძლებელია სხვა ენაზე ამ სიტყვების თარგმნა ასეთი ინტერპრეტაციით! შანდორ პეტეფის ლექსი ავიღოთ, "მიყვარხარ ძლიერ, ძლიერ..." როგორ შეისისხლხორცა და შეისრუტა ჩვენმა ენამ. ასე ლამაზად, ალბათ, საკუთარ ენაზე არ ჟღერს ეს ლექსი. სწორედ ამიტომ, და იმიტომაც, რომ ქართული ენა ღვთიურ საიდუმლოს ინახავს, ქართველმა ხალხმა ძეგლი დაუდგა მას. მოვალენი ვართ, საკუთარ ენას უდიდესი პატივი ვცეთ და მოვუაროთ როგორც ჩვენი სამშობლოს, ეროვნების თვითმყოფადობის უპირველეს საზომს!"

ეს ღონისძიება გაიმართა სკოლაში, რომელზეც განათლების რესურსცენტრის უფროსმა სპეციალისტმა ალექსანდრე თევზაძემ ამ სიტყვებით ისაუბრა: "განსაკუთრებული ყურადღება მინდა გამოვხატო დიდი ჯიხაიშის პირველი საჯარო სკოლის პედკოლექტივის მიმართ. ეს გახლავთ სკოლა, რომელიც არა მხოლოდ ინტენსიურად მონაწილეობს საგანმანათლებლო პროექტებში, არამედ, ყოველთვის დიდ წარმატებებს აღწევს. ამგვარი ხასიათის ღონისძიება დასტურია იმ ინტელექტისა და მიმართულებისა, ამ სასწავლო დაწესებულებაში რომ სუფევს. მადლობა თქვენ იმისთვის, რომ თამამად შეუძლია ქვეყანას, მუნიციპალიტეტს საკუთარ საყრდენად გიგულოთ. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ერთია და სხვაა სულისკვეთება პედაგოგებისა, მოსწავლის სულის აღზრდაში განსაკუთებული წვლილი რომ შეაქვთ. მადლობა თქვენ იმისთვის, რომ ხართ ისეთები, როგორებიც ხართ! თქვენი სკოლის წარმატებები ამის დასტურია!"

მშობლიური ენისადმი დადგმული ძეგლის კვალდაკვალ, დიდი ჯიხაიშის საჯარო სკოლის სკვერში დადგმული წიგნის მონუმენტი დასტურია იმისა, რომ ენას, რომელსაც "სახარებასა შინა ლაზარე ჰრქვიან" ამგვარ სასწავლო დაწესებულებებზე დაყრდნობით დავიწყება და გადაშენება მართლაც არ უწერია!

## ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად

"მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება უმნიშვნელოვანესია, ამ მიზნით დავწერეთ პროექტი, რომლის მიზანი ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია იყო. პროექტს ეს დევიზი ჰქონდა: "ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია". _ გვეუბნება ნინო შენგელია, მეთორმეტე საჯარო სკოლის მეხუთე კლასის დამრიგებელი, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგი. კლასში 26 ბავშვია, პროექტის პირველი ეტაპი იყო საუბრები ამ თემის ირგვლივ, მოსწავლეთა დებატები ამ თემაზე, შემდეგ ბავშვებმა საინტერესო წარდგინებები მოაწყვეს, ბოლო და დამაგვირგვინებელი ეტაპი კი "მხიარული სტარტები" იყო. ერთ-ერთი ეტაპი ცნობილ სპორტსმენთან შეხვედრაა.

"სამტრედიის მაცნე" მეთორმეტე სკოლაში გამართულ გრანდიოზულ სპორტულ ღონისძიებას დაესწრო. ვიდრე მხიარული სტარტები დაიწყებოდა, პუბლიკის წინაშე სამტრედიელთათვის საყვარელი ჯგუფი "თრინითი" წარსდგა. გოგონებმა ის სიმღერები შეასრულეს, რომლითაც პროექტში "X- ფაქტორი" წარმატება მოიპოვეს და რომლებითაც ისინი მთელმა საქართველომ გაიცნო.

მხიარული და ენერგიული პატარები ორ ჯგუფად დაიყვნენ, "არწივები" და "შევარდენი" ერთმანეთს საინტერესო და საკმაოდ რთული დავალების შესრულებაში შეეჯიბრნენ. _ მხიარული კალათბურთი, მუცლით ბურთის ტარება, კალათები და ბურთები, ბადმინტონის ჯოხით ბურთის ტარება, _ ეს ნაწილია მათ მიერ წარმოდგენილი თამაშობების.

"დედა-შვილობა" _ ასე ერქვა სახალისო თამაშს, სადაც ბაგირის გადაძალვაში ერთმანეთს დედები შეეჯიბრნენ, მათ მოუწიათ ასევე სარეცხის სწრაფად და ლამაზად გაფენაში გაჯიბრებაც. მრავალრიცხოვანმა ჟიურიმ, რომლის შემადგენლობაში სხვადასხვა საგნების პედაგოგები იყვნენ გაერთიანებულნი, ყველა ქულა მისხალ-მისხალ დაითვალა. საბოლოო ანგარიში ასეთია: 62:72 "შევარდენის" სასარგებლოდ. სკოლის დირექტორმა, ნინო ონიანმა, რომელმაც ასევე წარმატებით შეითავსა ჟიურის ხელმძღვანელის საპატიო მისია, აღნიშნა, რომ მსგავს შეჯიბრში ყველა გამარჯვებულია. მან მადლობა გადაუხადა ბავშვებს, ასეთი საინტერესო და ლამაზი სპორტული სანახაობის ჩვენებისათვის, ასევე კლასის ხელმძღვანელს და მშობლებს, ორივე გუნდის წევრები დიპლომებით დააჯილდოვა. სპორტული ღონისძიება ასევე დაამშვენა სპორტული აკრობატიკის გოგონათა გუნდმა. ეს მოსწავლეები სპორტის პედაგოგმა, იური კორძაძემ მოამზადა, რომელიც ასევე არის "მხიარული სტარტების" მონაწილეთა სპორტის პედაგოგი.

ნათია ნაცვლიშვილი

ჩემი უნივერსიტეტი

# ემიდი ჭუანბი სიფუაკუდი ალდეფუანი ემბიბლის მიმაკი

ლევან გაბეჩავა

***რუბრიკა ჩემი უნივერსიტეტი გრძელდება.***

***სამტრედიელთათვის კარგად ნაცნობი კაცი, ბატონი ემზარ შუბლაძეა ამჯერად რუბრიკის სტუმარი.***

***ქალაქის №5 საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ იგი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. სწავლის პარალელურად მუშაობდა ქალაქვაჭრობაში იურისკონსულტად და მიწის მართვის სამმართველოში მთავარ სპეციალისტ-იურისტად.***

***...***

***უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სხვადასხვა წლებში იყო სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი.***

***ამჟამად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარეა. ჰყავს მეუღლე და შვილი.***

***უნივერსიტეტის წლებს ბატონი ემზარ შუბლაძე იხსენებს.***

"ბავშვობიდან მსურდა ვყოფილიყავი იურისტი, ჩემს სკოლას ვუმადლი უნივერსიტეტში სკოლაში მიღებული ცოდნით რომ ჩავირიცხე.

კარგი პედაგოგები მყავდა, სკოლას ბატონი კოტე ახალაძე ხელმძღვანელობდა.

ჩემი სტუდენტობის პერიოდი ჩვენი ქვეყნისათვის რთულ დროს დაემთხვა.

ლექციებს შესანიშნავი პროფესორ-მასწავლებლები, ბატონები: ბიძინა სავანელი, ზაურ წულაია, რომან შენგელია, გივი ინწკირველი და სხვები გვიკითხავდნენ.

სურვილი მქონდა, უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, კათედრაზე დავრჩენილიყავი, თუმცა, იმდენად არაპროგნოზირებადი ვითარება იყო ქვეყანაში, რომ...

უნივერსიტეტში მიღებული საფუძვლიანი ცოდნის წყალობით, სადაც კი ვიმუშავე, არც თავი შემირცხვენია და არც ჩემი პროფესორ-მასწავლებლები, უნივერსიტეტი". _ საუბრობს რესპონდენტი და დავით კიკალიშვილს, მიხეილ ჩოგოვაძეს, ზაზა ცხაკაიას და მის სხვა თანაკურსელებს საოცარი სითბოთი ახსენებს.

1998 წელს ემზარ შუბლაძე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი გახდა, როგორც ადვოკატმა, საქმიანობა სისხლის სამართლის განხრით დაიწყო, თუმცა, სამოქალაქო საქმეთა განხილვაშიც მონაწილეობდა.



არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ იგი კარგი პროფესიონალი, მზარდი სპეციალისტია, თუმცა, რაკი პოლიტიკური თანამდებობის პირია, ადვოკატს უფლებამოსილების შესრულება კანონით არ შეუძლია.

"საქართველოს დედა უნივეტრსიტეტის საუკუნოვანი იუბილე უმნიშვნელოვანესი მოვლენაა, არა მარტო უნივერსიტეტდამთავრებულთათვის, არამედ მთელი ერისათვის, ქვეყნისათვის. _ საუბრს განაგრძობს ბატონი ემზარი. კარგია, რომ უნივერსიტეტი იყო, არის და უეჭველად იქნება ეროვნული ღირსების, პატივის მატარებელი, ცოდნის დიდი ტაძარი. მართალია, ჩემი შვილი ჯერჯერობით არაა არჩევანის წინაშე, თუმცა როგორც მშობელი, მოხარული ვიქნები, თუ გადაწყვეტს, კვალიფიციური ცოდნა უნივერსიტეტში მიიღოს.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და უნივერსიტეტის საუკუნოვანი იუბილე მივულოცო ყველას, ვისთვისაც ძვირფასია უნივერსიტეტი, მისი ღირსეული წარსული, მშვენიერი აწმყო და უკეთესი მომავალი". _ გვითხრა ბატონმა ემზარმა.

## "არა მარტო ჩვენს ქალაქს დააკლდა როლანდი"

მოკვდა კაცი. წავიდა და აუხდენელი სურვილების, ოჯახის, დაუმთავრებელი საქმეების სევდა თან გაიყოლა. გაოცებასა და სინანულს ბოლო არ უჩანს _ გაშინაურდა სიკვდილი... ხან ვის კართან ჩამოჯდება და ხან ვისთან. სიცოცხლესთან მარადიულ ბრძოლაში გამარჯვებული მაინც ვერაფერს აკლებს ხსოვნას. ან იქნებ არავინ იცის, რა არის იგი და პირიქით, "დიდი სიკეთეა ადამიანისათვის". ერთი ცხადია, ჩვენს არსებობას ფასს ნამდვილად სძენს.

სიკვდილი გულისწყვეტაა იმ ადამიანების გამო, ჩვენს გვერდით რომ აღარ არიან. აღარც როლანდ ნიკოლეიშვილია, შპს "არქიტექტორის" მთავარი ინჟინერი, ალალ-მართალი, გულიანი კაცი.

გვტკივა შავითმოსილი და ღიმილწართმეული მისი მეუღლე ლია წიქვაძე, ვთანაუგრძნობთ შვილებს, წლების წინ ხელჩაკიდებული რომ დაჰყავდათ, მშობლებს სამსახურში და, როგორც იტყვიან, ჩვენს თვალწინ გაიზარდნენ. საყვარელი ბაბუის გამო, იმ პატარა შვილიშვილების ცრემლებსაც ვდარდობთ, ხალისით რომ ავსებდნენ მის ცხოვრებას.

დაკლდა შენობას როლანდ ნიკოლეიშვილი, სადაც ყოველდღე ვხვდებოდით მას, დაგვაკლდა კიდევ ერთი ჩვენიანის მოსალმება. მონატრებანარევი სიჩუმე ჩამოწვა ოთახში, სადაც კოლეგებთან ერთად მუდამ საქმეში გართული იჯდა, კითხულობდა, სიახლეებს ეძებდა.

ბატონი როლანდის დირექტორი და ნათლია ანზორ კოპალეიშვილი ცდილობს, კიდევ უფრო უკეთესად გაგვაცნოს იგი: "ნამდვილი ადამიანი იყო, ზრდილობით სავსე, პროფესიონალი, დინჯი კაცი. სულ შრომობდა, თავის საქმეს ვიდრე არ დაასრულებდა, თავს არ დაანებებდა. არა მარტო ჩვენს ქალაქს, რაიონს დააკლდა როლანდი."

ბატონმა ანზორმა ერთი კარგი ჟესტიც გააკეთა მეგობრის ოჯახისთვის: თანამდებობიდან გადადგა და მის ადგილზე ბატონი როლანდის შვილი, კახა მოიყვანა.

ათწლეულები აკავშირებდათ, აგრეთვე, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსს, ზურაბ გოგიასა და როლანდ ნიკოლეიშვილს. "ოჯახის კაცი, რასაც ჰქვია, ასეთი იყო როლანდი. მშრომელი ადამიანი, უღალატო, პატიოსანი, ასეთივე იყო აჩიკო შენგელიაც, რომელიც სულ ახლახან გარდაიცვალა. ორივენი დასაყრდენი კაცები იყვნენ, რასაც აკეთებდნენ, გულს დებდნენ მასში". _ ამბობს ის.

ვერც ქალბატონი მანანა ტყეშელაშვილი ფარავს სინანულს. "მართალი, შრომისმოყვარე და უბოროტო _ ამით ყველაფერი ვთქვი მასზე. იმდენად ვწუხვარ მის გარდაცვალებას, გამოთქმაც კი მიჭირს. 40 წელი ერთ ოთახში ვისხედით, თითქმის ოჯახის წევრები ვიყავით". _ თქვა მან.

კარგი სიტყვის მთქმელი კიდევ ბევრი ადამიანია როლანდ ნიკოლეიშვილზე. მით უფრო, რომ ჯერ მხოლოდ 40 დღე გავიდა მისი გარდაცვალებიდან. კარგი სიტყვა კარგ კაცზე, ჩავთვალეთ, ჩვენც უნდა გვეთქვა.

ქეთევან ჭელიძე

## გულისხმიერი მკურნალი, კეთილშობილი ქალბატონი

ჩვენი რაიონის სახელოვანი ინტელიგენციის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი გახლდათ ქალბატონი ნელი დადიანი.

მან რაიონში მოღვაწე სხვა მედიკოსებთან ერთად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, ბოლომდე დაიხარჯა თანაქალაქელთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე. ოდენ სამტრედიაში არ უმოღვაწია, სამედიცინო ინსტიტუტი მაშინ დაამთავრა, როცა ომი ჯერ კიდევ მძვინვარებდა. იყო უმძიმესი, ურთულესი, თუმცა, საოცრად საამაყო, გმირული წლები ევაკოჰოსპიტალში მუშაობისა.

...

სიცოცხლის ბოლომდე, როგორც ვთქვით, ქალბატონი ნელი სამტრედიაში მოღვაწეობდა. სიცოცხლეშივე მოიხვეჭა მან მადლიერი პაციენტებისა და საზოგადოების დამსახურებული აღიარება, პატივი და სიყვარული.

არაერთი წერილი მიუძღვნა ქალბატონი ნელი დადიანის მოღვაწეობას საქართველოს დამსახურებულმა ექიმმა, ჟურნალ "მედიცინას" სარედაქციო საბჭოს წევრმა, ბატონმა გენო გეგეშიძემ.

დიდი ხანია, რაც წუთისოფელს განერიდა საქართველოს დამსახურებული ექიმი, ქალბატონი ნელი დადიანი, თუმცა, მშობლიურ რაიონში არ ივიწყებენ ღირსეულთ, არ ივიწყებენ ნელი ექიმს, ღამეები ბევრჯერ რომ უთენებია ავადმყოფთა საწოლებთან და ბევრჯერაც უზეიმია სიკვდილზე სიცოცხლის გამარჯვება.

100 წლისა გახდებოდა ამ დღეებში ნელი დადიანი.

***გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში, ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტ რომან ბექაიას მიერაა ეს ფოტო გადაღებული. რომელზედაც აღბეჭდილია ქალბატონი ნელი დადიანი დილის შემოვლის დროს.***

ლევან გაბეჩავა

---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მსახიობი, მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორის მოადგილე, ქალბატონი

**მზია ჩიხლაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო მწუხარებით იუწყებიან ქალბატონი

**მზია ჩიხლაძის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

სამტრედიის საბიბლიოთეკო გაერთიანება მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორის მოადგილე, ღვაწლმოსილი მსახიობი, ქალბატონი

**მზია ჩიხლაძე**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

ნათელა და ვაჟა ტერელაძეები თანაუგრძნობენ კაშიების ოჯახს ღირსეული ქართველის, დიდებული ოჯახის თავკაცის, მათემატიკური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ბატონი

**მურმან კაშიას**

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ ოჯახს.

---

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო მწუხარებით იუწყებიან ბატონი

**მურმან კაშიას**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

---

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი პედაგოგი, ბატონი

**მურმან კაშია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

**გვანცა სანაძეს!**

ჩვენო საყვარელო გვანცუკა, დაბადების დღეს გილოცავთ მზიანი გულის მქონე ახალგაზრდას, სიცოცხლითა და სითბოთი აღსავსეს. შენ ჩვენი ერთგული და მოსიყვარულე გვანცუკა ხარ და გვინდა, მუდამ მომღიმარსა და მხიარულს გხედავდეთ. ყოველი წლის მატებას ბედნიერება მოეტანოს შენთვის და შენი ოჯახისათვის!

**"სამტრედიის მაცნე"**

**მზევინარ ბოხუას!**

დაბადების დღეს გილოცავთ შენი ყოფილი თანამშრომლები. ვიგონებთ იმ ძვირფას დღეებს, რომელიც შენი ხელმძღვანელობით გაგვიტარებია. თუ ვინმეს ოჯახური პრობლემა შეგვექმნებოდა, შენ მაშინვე ფიქრობდი, როგორ დაგვხმარებოდი, ეს არის შენი ჰობი. სიკეთით სავსე, ღირსეული ქალბატონი ხარ, კარგი მეუღლე და დედა. ამიტომ გვიყვარხარ ძალიან. იხარე შენს დიდებულ ოჯახთან და ჩვენს თვალწინ გაზრდილ შენს ერთადერთ აჩიკოსთან ერთად.

**№ 2 ბაგა-ბაღის შენი ყოფილი თანამშრომლები: ნ. რობაქიძე, დ. ხურცილავა, ნ. შუბლაძე, მ. ქუნიელია, ნ. ტორონჯაძე, მ. სტურუა და სხვები.**

**მზევინარ ბოხუას!**

დაბადების დღეს გილოცავთ გულისხმიერო, ერთგულო მეგობარო, კეთილო და მზრუნველო, ყველასთვის თავდადებულო ქალბატონო. წელთა სიმრავლეს მხოლოდ ბედნიერება მოეტანოს შენთვის, ოჯახური კეთილდღეობა და წარმატებები არ მოგაკლოს უფალმა იმ საზოგადოებრივ საქმიანობაში, რასაც "სახლი თანადგომა" თავის ლამაზ კოლექტივთან ერთად სასახელოდ უძღვება. იხარე და იძლიერე ყველა ჩვენგანის გულის გასახარად!

**მეგობრები**

---

**მზევინარ ბოხუას!**

ჩვენო საყვარელო მზევინარ, მთელი კოლექტივი დიდი გულით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ყოველივე კარგს ცხოვრებაში. ამდენ სითბოსა და პატივისცემას ნამდვილად გასაკვირია, როგორ ახერხებთ ყველა ადამიანის მიმართ, თუ გინდ თანამშრომლის, მეგობრებისა და ბენეფიციარების. ამიტომაც ყველას უყვარხართ, თქვენი შემართებით, სამართლიანობით და ობიექტურობით. სულ ხალისიანი გვენახე, გფარავდეთ უფალი!

**"სახლი თანადგომას" თანამშრომლები**

---

**მზევინარ ბოხუას!**

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ყველა სურვილის შესრულებას, ზედმეტი არ იქნება, რომ ვთქვა, თქვენი დამოკიდებულება ყველას მიმართ დადებითია. ეს კარგად ვიცით, რადგან წლებია გიცნობთ, ჩვენო საყვარელო მზევინარ!

**ნანული კიკაბიძე**

---

**ბატონ ლაშა ქაშაკაშვილს!**

გილოცავთ დაბადების დღეს, წარმატებებს გისურვებთ, უფლის მადლი და წყალობა არ მოგკლებოდეს.

**ბეჭან გოგია, თამაზ ნიკურაძე**

---

**ბატონ კლიმენტი თევზაძეს!**

დაბადების დღეს გილოცავთ, იხარეთ და იდღეგრძელეთ კეთილის მსურველთა გასახარად.

**ბეჭან გოგია, თამაზ ნიკურაძე**

## სამტრედიელი კარატისტების მორიგი გამარჯვება

2018 წლის 9-10 ივნისს ქალაქ ბათუმში ჩატარდა აჭარის ღია ჩემპიონატი კონტაქტურ კარატეში "კარატე კიოკუშინკაი," სადაც მონაწილეობდა 200-მდე სპორტსმენი, მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის კარატეს ჯგუფის წევრებიც.

ტრადიციულად წარმატებით იასპარეზეს სამტრედიელმა გოგონებმა, რომლებიც მონაწილეობდნენ ერთ წონით კატეგორიაში და შესაბამისად დაიკავეს: პირველი ადგილი მანანა მუქერიამ, მეორე _ მარიამ გოგიტაურმა, მესამე ადგილი თამთა ნადარეიშვილმა.

21 ივნისს მანანა მუქერია და მარიამ გოგიტაური სენსეი მიხეილ ქანთარიასთან ერთად მიემგზავრებიან მსოფლიო ჩემპიონატზე უნგრეთის ქალაქ ბენტეში.

**სენსეი მიხეილ ქანთარია**

## კოლორიტი კაცი არი, უყვარს სიტყვა "ასიანი"!

**ბატონ თამაზ ჟორდანიას!**

არსებობენ ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე სიკეთეს აკეთებენ და სხვანაირად არ შეუძლიათ. ასევე არსებობენ ადამიანები, რომლებიც ლიდერებად იბადებიან, არიან მკაცრებიც და გულჩვილებიც, სამართლიანებიც და მომთხოვნებიც. ამ და კიდევ მრავალი გამორჩეული თვისებითაა დაჯილდოვებული ბატონი თამაზ ჟორდანია, შპს "სამედიცინო ცენტრ _ რკინიგზა 1872"-ის დირექტორი, საუკეთესო ოჯახის თავკაცი, ასევე მეორე ოჯახის, ანუ სამსახურის გამორჩეული ხელმძღვანელი, მისი თანამშრომლების მფარველი და დამცველი.

მადლიერი თანამშრომლების გუნდი გულითადად ვულოცავთ დაბადების დღეს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს ყოფილიყოს მისი ოჯახის და სამსახურის წარმატებული თავკაცი, ისეთივე ახალგაზრდა და შემართული, როგორიც დღესაა.

---

**ბატონ თამაზ ჟორდანიას!**

სახელოვან იუბილეს გილოცავთ, ღვაწლმოსილ ექიმსა და ღირსეულ სამტრედიელს. იდღეგრძელეთ საყვარელ ოჯახთან ერთად.

**ბეჭან გოგია, თამაზ ნიკურაძე**

---

**ბატონ თამაზ ჟორდანიას!**

ღვაწლმოსილ ექიმს, ჩვენი ქალაქის კოლორიტს პატივისცემით გილოცავთ 70 წლის იუბილეს.

გმეგზურობდეთ უფალი.

**"სამტრედიის მაცნე"**

## მადლობა მედიკოსებს!

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამითაა გამყარებული ხელისუფალთა მხრიდან მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებაზე ზრუნვა და ძალისხმევა. სასიამოვნოა და მისასალმებელი, რომ სამტრედიელი მედიკოსები ტრადიციებს არ ღალატობენ და სალბუნად ედებიან პაციენტთა სატკივარს.

სოფელ გომის მკვიდრი, ქალბატონი ნანული მეგენეიშვილი გვეწვია ამას წინათ რედაქციაში სამადლობელით:

"ჩემი მეუღლე რობიზონ მეგენეიშვილი სამი წელია მძიმე ავადმყოფია, ავად ვარ მეც, ხშირად საჭირო ხდება ექიმების გამოძახება, გადასხმები და სხვა პროცედურები.

ჩვენი ოჯახისა და საერთოდ, ჩვენი სოფლის მოსახლეობისადმი გამოჩენილი გულისხმიერებისათვის უღრმესი მადლობა გვინდა ვუთხრათ გომის საექიმო უბნის ექიმებს: **მარინა დუნდუას, მაია ამაღლობელს, ზურაბ ჩხაიძეს, ექთნებს: ლეილა მეგენეიშვილს, მანანა ჩუბინიძესა და ნატო ქიშმარეიშვილს.**

უღრმესი მადლობა მსურს ჩემი და ჩემი მეუღლის სახელით გადავუხადო, აგრეთვე, "ჯეოჰოსპიტალსის" სამტრედიის ამბულატორიული ცენტრის მთავარ ექიმს, **ქალბატონ ლუარა კახიანსა** და ამბულატორიული ცენტრის ყველა თანამშრომელს, რომლებიც კვალიფიციურ დახმარებასთან ერთად გულის სითბოსაც გვაგრძნობინებენ". _ გვითხრა ქალბატონმა ნანულიმ.

"გიყვარდეთ მოყვასიო" _ გვასწავლის უფალი, კარგია, როცა მოყვასის სიყვარულით, ექიმის ფიცისადმი ერთგულებით იღვწიან და იხარჯებიან სამტრედიელი მედიკოსები.

**ლევან გაბეჩავა**

**დაიკარგა მონადირე ძაღლი (გონჩი). მპოვნელი დასაჩუქრდება. გთხოვთ დაგვიკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 577 42 34 05.**

**რედაქციის მისამართი:**
**სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6**
**ტელ: 790 391839**

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბეჭან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა